ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 23 ოქტომბერი 2003 №201 (1972) ფასი 50 თეთრი

REUTERS ფლაშბეკიდან

რეინჯერსი — მანჩესტერი 0:1. შოთა არველაძე და როი კინი: ქართველი და ირლანდიელი შოტლანდია-ინგლისის ომში

ფერგიუსონის მანჩესტერორი გლაზგოში

REUTERS მილანიდან

დიდი ბრძოლა გაუმართა მოსწავლემ მასწავლებელს, ისეთი, შოტლანდია-ინგლისის ტრადიციულ რკენას რომ ეკადრება.

ალექს მაკლიშმა ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერს“ გლაზგოს „აიბროქსზე“ უშოტლანდიელებო „რეინჯერსი“ დაახვედრა, თუმც რაგინდარა ტომის ბიჭები სქოთური ჟინით შეებნენ მეტოქეს. მაკლიშის რჩეულთა შორის, გადაუჭარბებლად ითქმის, ჩვენებურები — შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი გამოირჩეოდნენ, მაგრამ არც ამათი და არც სხვა „ჩაფართა“ თავდადება გამოდგა საკმარისი ფერგიუსონის გაწვრთნილი გუნდის დასამარცხებლად.

სამაგიეროდ, ევროპის საკლუბო ჩემპიონის, იტალიური „მილანის“ დასამარცხებლად „ბრიუგეს“ ჟინმა და შემართებამ იკმარა — 0:1 და განახლებული ჩემპიონთა ლიგის პირველი სენსაციაც.

იხილეთ მეორე გვერდი

ალექსი ძალიანაშვილი ფოტო

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

სორელმა ნაკრები დატუქსა და გამოცვალა

რამდენს გვიანგარიშებს სამხრეთ აფრიკა?

„სამოასთან ასეთი ანგარიშით მარცხს ნამდვილად არ ველოდი“ — გვეუბნება საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი ავსტრალიიდან. სიმართლე გითხრათ და, სამოასთან 9:46-ზე მეტად ბორკილოსნების თამაშის ხარისხი, უფრო სწორად კი უხარისხობაა შესაშფოთებელი. სამოამ კარაქივით გაჭრა საქართველოს დაცვა.

თუ მინდამინც ანგარიშს გამოვდეგნებით, სამხრეთ აფრიკასთან ხვალინდელ მატჩზე უნდა ვიდარდოთ. სორელმა, რომელიც სამოასთან შერცხვენის შემდეგ გასახდელში შეგირდებს ეჩხუბა, „ქურციკებთან“ რასაც უცნაური შემდგენლობა დაიყენა ძირითად 15-ში ნაკრების ორი-სამი წამყვანი მოთამაშე თუ. ურუგვაისთან მატჩისთვის ვასვენებო, გვეუბნება, მაგრამ ამ სვენებ-სვენებში ბორკილოსნებმა საქვეყნოდ არ მოიჭრან თავი. ჩვენს მეორე შემდგენლობას აფრიკელებმა მარილა კატასტროფული და სარეკორდო სხვაობით რომ მოუგონ, ვინმეს გავიკვირდებათ?

ინტერვიუ კლოდ სორელთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე

REUTERS მილანიდან

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

ჯგუფური ეტაპი. III ტური. წესრიგ

E ჯგუფი

რეინჯერსი 0:1 მანჩესტერი

0:1 ფილ ნევილი (5)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მური, ბერგი, ბოლი, ვანოლი (ნერლინგერი 67), ხიზანიშვილი (როსი 84), არტეტა, ლოვენკრანდსი, მოლსი, ბრუნელაძე

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მანჩესტერი: პოვარდი, გარი ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფილ ნევილი (ბეთი 84), კინი, ფორლანი (ჯემბა-ჯემბა 90), გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ოში, სქოულზი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

48 730 მაყურებელი

შტუტგარტი 2:0 პანათინაიკოსი

1:0 საბიჩი (13), 2:0 სოლდო (25)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მერირა, ბორდონი, ლამი, სოლდო, ვრანიესი (მეისნერი 77), ჰელდტი (ტიფერტი 62), ბლები, კურანი, საბიჩი (ამანატიდისი 84)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, მორისი, პენრიკსენი, ფისასი, ფუტაუტასი, სეიტარიდისი, მიუნხი (ჯ. კონსტანტინიდისი 69), ბასინასი, მიქაელსენი, მარიჩი, პაპადოპულოსი (კონსტანტინუ 46)

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

გაფრთხილება: მერირა

მსაჯი: პოლ ალაერტსი (ბელგია)

50 348 მაყურებელი

შტუტგარტი	3	2	0	1	5:3	6
მანჩესტერი	3	2	0	1	7:2	6
რეინჯერსი	3	1	1	1	3:3	4
პანათინაიკოსი	3	0	1	2	1:8	1

F ჯგუფი

მარსელი 2:3 პორტუ

1:0 დროგბა (24), 1:1 მანიშე (31), 1:2 დერლეი (35), 1:3 ალენიჩევი (81), 2:3 მარლე (84)

მარსელი: რუნეე, ვან ბუიტენი, ბემდალი, პერესი (სიმოვი 66), მიდო (ვახოუშეკი 67), დროგბა, მეიტე, მერიემი, მარლე, ეკერი, სელესტინი

მწვრთნელი: ალენ პერენი

პორტუ: ბაია, ფორეე კოშტა, კარვალიო, კოშტინია, ნუნუ ვალენტე, დეკო, დერლეი (იანკუსკასი 88), პეიხოტო (ბოსინგვა 65), მანიშე, ფერეირა (ალენიჩევი 73), პაულუ ფერეირა

მწვრთნელი: ფოზე მაურინიუ

გაფრთხილება: დრობგა, ფორეე კოშტა, კოშტინია, მიდო, დეკო, კარვალიო, მანიშე, ბაია

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

59 000 მაყურებელი

რეალი 1:0 პარტიზანი

1:0 რაული (38)

რეალი: კასილასი, სალგადო, პავონი (გუტი 46), რაულ ბრავო, კარლოსი, ფიგუ, ელგერა, ბეკემი, ზიდანი (სოლარი 79), რაული, რონალდო (პორტილიო 79)

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

პარტიზანი: პანტიჩი, ოგნიანოვიჩი, სავიჩი, მალბასა, ჯორჯევიჩი (ბრონვიჩი 89), რეგასა (სტოიანოვსკი 46), დულიაი, ნადი (საკარი 90), ილიჩი, ილიევი, დრულოვიჩი

მწვრთნელი: ლუთარ მათეუსი

გაფრთხილება: ბეკემი, ჯორჯევიჩი, გუტი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

58 000 მაყურებელი

რეალი	3	3	0	0	8:3	9
პორტუ	3	1	1	1	5:6	4
მარსელი	3	1	0	2	7:7	3
პარტიზანი	3	0	1	2	1:5	1

G ჯგუფი

ჩელსი 2:1 ლაციო

0:1 ინძაგი (38), 1:1 ლამპარდი (57), 2:1 მუტუ (65)

ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ბრიჯი, ტერი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ჯერეზი 78), გერონი, მუტუ (კოული 87), გუდიონსენი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ლაციო: პერუჩი, ალბერტინი, ძაური (ფიორე 74), მიხაილოვიჩი, სტამი, ფაგანელი, კონსეისაო, სტანკოვიჩი (დივერანი 84), კორადი, ინძაგი (მუჩი 67), ოდო

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: გერონი, მიხაილოვიჩი, ტერი, ინძაგი, ფიორე, ოდო

მსაჯი: ტერი ჰაუგე (ნორვეგია)

40 405 მაყურებელი

სპარტა 2:1 ბეშიქთაში

1:0 ზელენკა (58), 1:1 პანჩუ (60პ), 2:1 პობორსკი (84)

სპარტა: ბლაჟეკი, ლაბანტი, პერგლი, ჭუბუშანი, იოჰანა, ზელენკა (მიხალიკი 90), პობორსკი, სიონკო (ჯუნი 89), კოვაჩი, ნემეცი, კინცლი (გლუშკოვიჩი 86)

მწვრთნელი: ირეი კოტბა

ბეშიქთაში: კორდობა, ემრე აშიკი, ძაგო, გუიარო, ჰაუტჩუ, ჯუნტი, იბრაჰიმი, იალმინი (ბასან აბმედი 82), პანჩუ, დობრა, აბმეთ დურსუნი (ქალოდლუ 65)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ემრე აშიკი, კოვაჩი, იოჰანა, ჯუნტი, პანჩუ

მსაჯი: მანუელ ენრიკე ნეტტო გონსალესი (სპანეთი)

14 512 მაყურებელი

ჩელსი	3	2	0	1	3:3	6
სპარტა	3	1	1	1	4:4	4
ლაციო	3	1	1	1	5:4	4
ბეშიქთაში	3	1	0	2	3:4	3

H ჯგუფი

მილანი 0:1 ბრიუგე

0:1 მენდოსა (33)

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პაჩეკო, ბროკი, პირლო, კაკა (რუი კოშტა 62), ზეედორფი (სერეინო 62), ინძაგი, შევჩენკო (ტომასონი 75)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, მაერტენსი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ პე

A ᲯᲒᲣᲤᲘ

1=10 000

ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲔᲡ

ᲚᲘᲝᲜᲘ 1:1 ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ

0:1 მაკაი (25), 1:1 ლუინდულა (88)

ლიონი: კუპე, დეფლანდრე (მალუდა 46), ედმილსონი, მიულერი, რეველიერი, ესიენი, დორასო (კარიერი 75), დიარა, ჟუნინიო, ელბერი, გოვუ (ლუინდულა 68)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

ბაიერნი: კანი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ, დაისლერი, დემიკელისი (იერემისი 46), ბალაკი, ზე რობერტო (სალიპამიჯიჩი 90), მაკაი, სანტა კრუზი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: დემიკელისი, სანტა კრუზი, კოვაჩი, მალუდა, რეველიერი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

37 659 მაყურებელი

ლიონელი ფორვარდი პეგი ლუინდულა მეორე ტაიმში სათადარიგოთა სკამიდან წამოდგა, რათა თავისი გუნდისთვის ქულა გადაერჩინა.

მაგრამ ლუინდულას შესვლისთანავე არ გაუტანია. „ბაიერნი" დიდი მონდომებით იცავდა ერთბურთიან უპირატესობას. გარდატეხა სულ ბოლოს მოხდა, როდესაც გერმანელთა ოცნების ახდენამდე ორი წუთიღა რჩებოდა. ჟუნინიომ „ბაიერნის" საჯარიმოში პანიკა დათესა, რითაც ლუინდულამ იხეირა და პირთამდე სავსე „სტად დე ჟერლანდიც" აჟრიამულდა. ლუინდულა დაბადებით ზაირელია, მერე გაფრანგდა და თავის დროზე საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თამაშის ხასიათიდან გამომდინარე ფრე სამართლიანი შედეგი იყო.

ანგარიში რიი მაკაიმ გახსნა. სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გატანა. თუნდაც ის ეპიზოდი რად ღირს, როკე სანტა კრუზმა ათი მეტრიდან ძელს რომ გაარტყა.

თავის მხრივ არც ლიონელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი და ნამატჩევს ოტმარ ჰიცფელდს საგანგებო მადლობის მიძღვნაც კი დასჭირდა ოლივერ კანისადმი. „მსოფლიო კლასის მეკარე მსოფლიო კლასის რეაქციით" — ამ სიტყვებით შეაფასა ჰიცფელდმა თავისი კაპიტნის მართლაც ფანტასტიკური თამაში, როცა კანმა უკვე წამატებულ დროში ყოფილ თანაგუნდელ ჯოვანი ელბერს ურთულესი ბურთი აუღო.

„მთელი 86 წუთი თავი ქუდში გვქონდა — დასძინა ჰიცფელდმა — გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით და, ცხადია, გულდასაწყვეტია, როცა სამი ქულა ბოლო წუთებზე გაგიფრინდება ხელიდან. მეტიც, ბოლო წამებზე შესაძლოა, მეორე გოლიც გაგვეშვა."

ლიონელთა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა კი თამაში ასე შეაფასა: „პირველი ტაიმით უკმაყოფილო დავრჩი. მეორე ტაიმში ტაქტიკაშიც და შემადგენლობაშიც კორექტივები შევიტანე და სულ სხვა თამაში მივიღეთ. ვფიქრობ, ჩემმა გუნდმა თავი არ დაზოგა და ფრესაც დამსახურებულად მივაღწიეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ქულაა, რომელმაც საკუთარი შესაძლებლობებშიც უფრო მეტად დაგვარწმუნა და ცხრილშიც მეორე ადგილზე დაგვტოვა."

და არ იქნება, ჯოვანი ელბერზეც არ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. გეხსომებათ, თამაშის წინ ის თავის ყოფილ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს ათი ათას ევროზე დაენიძლავა, უთუოდ გაგიტანთო.

ნამატჩევს ელბერმა თქვა: „ათი, ოცი, ოცდაათი ათასი ევრო არაფერია. მთავარია, რომ არ წავაგეთ. დღეს მოპოვებული ერთი ქულა ნებისმიერ თანხაზე მეტია."

ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ 1:0 ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ

1:0 დინდანე (72)

ანდერლეხტი: ზიტკა, დეშახტი, დე ბუკი, ჟევლაკოვი, კომპანი, ბასეჯიო, კოლარი (ტიპინენი 90), ჰასი, ვილჰელმსონი (ჰენდრიქსი 87), დინდანე, მორნარი

მწვრთნელი: უგო ბროოსი

სელტიკი: ჰედმანი, მაკნამარა (ვალგაერენი 46), ბალდე, ვარგა, სატონი, ა. ტომპსონი, აგატი, ლენონი (მილერი 79), ს. პეტროვი, ლარსონი, ჰართსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: დე ბუკი, დე ბუკი, პეტროვი, ლარსონი, ჰენდრიქსი

გაძევება: დე ბუკი (26)

მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)

28 000 მაყურებელი

მესამე და სამართალიო — „ანდერლეხტმა" მესამე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა და მოლო ადგილიდან მესამეზე აინაცვლა.

ბელგიელებს იოლად არ მოუგიათ. მხოლოდ ანგარიშში მინიმალურ უპირატესობას არ ვგულისხმობთ — 26-ე წუთზე ავსტრიელმა არბიტრმა ფრიც შტუხლიკმა დედაქალაქელებს კაპიტანი, ცენტრალური მცველი გლენ დე ბუკი გაუძევა მეორე ყვითელი ბარათით ჰენრიკ ლარსონისა და ჯონ ჰართსონის წინააღმდეგ უხეშობისითვის. ჰოდა, აღსანიშნავიც ის არის, რომ მასპინძლებმა საათზე მეტი უმცირესობაში ითამაშეს და გამარჯვების გოლი მანც გაიტანეს.

ბელგიელთა მწვრთნელმა უგო ბროოსმა ნამატჩევს აღნიშნა კიდეც, დე ბუკის გაძევების მერე უფრო ორგანიზებულები გავხდით და თამაშიც კონტრშეტევებზე გადავწყეთ, რამაც საბოლოოდ შედეგიც გამოიღო.

„დე ბუკის გაძევების მერე სამი მცველის ამარა დავრჩით, მაგრამ არაფერი შემიცვლია. მაინტერესებდა, შევძლებდით თუ არა შესვენებამდე სამი მცველით თამაშს. საბედნიეროდ, შევძელით და მეორე ტაიმში კიდევ ერთი მცველის დამატების საჭიროება მომეხსნა" — განმარტა ბროოსმა.

ისიც ცხადია, რომ კაცმეტობით წახალისებული შოტლანდიელები შეტევაში გადასვლას ეცდებოდნენ, რამაც 31-ე წუთზე კინაღამ შედეგიც მოუტანათ — ჰართსონმა კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა გოლი ოფსაიდის გამო გააუქმა.

თამაშის დასრულებამდე 17 წუთით ადრე არუნა დინდანემ გამარჯვებისა შეაგდო, რის მერეც, დარჩენილ დროში ნაღდი სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა. თამაშის მერე კი დამარცხებულია მწვრთნელმა მარტინ ონილმა სინანულით აღნიშნა, რომთუ 11 ფეხბურთელით 10 ფეხბურთელის წინააღმდეგ უპირატესობის ხელში ჩაგდებას ვერ ახერხებ, გამარჯვების იმედი არ უნდა გქონდეს და ფრეს თუ გაახერხებ, მადლობა უნდა თქვაო.

პეგი ლუინდულა

„სელტიკმა" ბედისთვის მადლობის თქმაც ვერ მოახერხა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ

ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ	3	1	2	0	4:3	5
ᲚᲘᲝᲜᲘ	3	1	1	1	2:3	4
ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ	3	1	1	1	2:2	4
ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ	3	1	0	2	3:3	3

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲫᲜᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲙᲣᲞᲔᲠᲝᲑᲐ

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲰᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ?

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 3:0 ᲘᲜᲢᲔᲠᲘ

1:0 ლოსკოვი (2), 2:0 აშვეთია (50), 3:0 ხოხლოვი (57)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი (გურენკო 73), იგნაშევიჩი, სენიკოვი, ლეკხეტო, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია, ბუზნიკინი (პაშინინი 46)

მწვრთნელი: იური სიომინი

ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, კანავარო, მატერაცი (ემრე ბელოზოღლუ 60), ბრეშე (კოკო 69), ხ. ძანეტი, ალმეიდა, კ. ძანეტი, რეკობა, ვიერი, კრუზი (მარტინსი 60)

მწვრთნელი: კორადო ვერდელი

გაფრთხილება: ბრეშე, კ. ძანეტი, რეკობა, კანავარო

მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)

25 000 მაყურებელი

კორადო ვერდელიმ კუპერის დაწუნებული ალვარო რეკობა ძირითად შემადგენლობაში ათამაშა, მაგრამ დროებით მწვრთნელს ურუგვაელმა ვერ უშველა. ვერდელი „ინტერის" ისტორიაში ამ სამარცხვინო მარცხით ჩაეწერა და ეგებ ნანობს კიდეც კუპერობა ერთი მატჩით რომ გასწია.

მოსკოვური შეხვედრის ბოლოს იტალიელმა გულშემატკივრებმა ლოზუნგი გამოფინეს არგენტინელ მწვრთნელს კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატიც თუ არ მიჰყვა, „ინტერს" არაფერი ეშველებოდა. ასე რომ, მორატიმ კუპერის გაშვებით მინდამინც სახარბიელო საქმე ვერ გააკეთა. „სპარტაკს" და „ლოკომოტივს" იტალიურ გუნდებთან აქამდე მხოლოდ ერთი სამადლო ფრე ჰქონდათ გასახსენებელი. ახლა რკინიგზელებმა თავის ისტორიაში ერთ-ერთი შესანიშნავი მატჩი ითამაშეს და „ინტერის" ფეხბურთელები თავისი მაისურის ფერებში, გაშავებულ-გალურჯებული გაისტუმრეს.

REUTERS მოსკოვიდან

ლოკომოტივი — ინტერი. ლოსკოვის დაწყებული აშვეთიამ გააგრძელა



REUTERS კიევიდან

არსენ ვენგერი

მატჩამდე სასტუმროს ჰოლში მჯდომი ინტერელები ისე ღლაბუცობდნენ, თითქოს სალამოს ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, დისკოთეკაზე აპირებდნენ წასვლას. სტუმრებმა ცხადია, იბრძოლეს, მაგრამ ორივე ტაიმის დასაწყისში მალევე გაშვებულმა გოლებმა ისინი დააცურა და გარკვეულწილად არია. „ლოკომოტივი" აშკარად იშტაზე იყო და ლოსკოვის გოლით დაწყებული საქმე ბოლომდე ტრიუმფით მიიყვანა.

ექტორ რაულ კუპერი ალბათ სადმე ტელევიზორთან ოჯდა, ხითხითებდა და თან მასიმო მორატის ლოცავდა.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2:1 ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

1:0 შაკიხი (27), 2:0 ბელკევიჩი (63), 2:1 ანრი (80)

დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, დმიტრულინი (საბლიჩი 33), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, ლეკო, ბელკევიჩი, პეევი, გიოანე (ხაცკევიჩი 79), გუსეი (რინკონი 65), შაკიხი

მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, პარლოუ (ლიუნგბერგი 74), ედუ (ვიეირა 61), ფილბერტო სილვა (კანუ 74), პირესი, ანრი, ვილტორდი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

80 000 მაყურებელი

გულთმისნობას არ ვიჩემებთ, მაგრამ „ინტერთან" (0:3) მარცხის შემდეგ აღვნიშნეთ, რომ „არსენალს" ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაუჭირდებოდა. პრემიერლიგის ლიდერი ცხრილის ფსკერზე დალექს და დარჩენილ სამ მატჩში უფრო მძაფრი ბრძოლების გადატანა მოუწევს.

„მეთოფეებს" ისეთი მეტოქეები შეხვდნენ, რომლებიც დაცვაში უმკაცრესად თამაშობენ და მათთან „არსენალი" ყოველთვის ჯახირობდა. „ინტერს", „ლოკომოტივსა" და კიევის „დინამოს" ლონდონელებმა ჯამში ერთი ბურთი გაუტანეს. არსენ ვენგერს არ აღმოაჩნდა თოფის წამალი, რომელიც მისი გუნდის მოწინააღმდეგეთა დაცვას დაშლიდა. მაღალი კლასის მოთამაშეები ბლომად კი ჰყავს, მაგრამ ისინი პრემიერლიგაში ბაირამობენ, ევროთასებზე კი არაფერი გამოსდით, თუ გინდ თოფი ესროლონ.

„არსენალმა" პოსტსაბჭოურ გუნდებთან ბოლო ხუთ მატჩში ერთიც ვერ მოიგო, გუშინ კი ჩემპიონთა ლიგაში პირველი სამადლო გოლი გაიტანა.

გასულ ზაფხულს მეკარის ყიდვა ისე გაჯანჯლეს, რომ საბოლოოდ ხელში გერმანელი „ბარტეზი" შერჩათ. იენს ლემანს ისევ დევიდ სიმენი სჯობდა. კიევში დინამოელთა მეორე გოლი სწორედ ლემანის უაზრო გამოსვლას მოჰყვა და „არსენალი" უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა. ვენგერმა „მეთოფეებს" ვიეირა, ლიუნგბერგი და კანუ მიაშველა, მაგრამ მხოლოდ ანრის ერთი გოლი მოინადირა.

ალექსეი მიხაილიჩენკო, ცხადია, კარგ ხასიათზე გახლდათ: „გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და, ფაქტობრივად, ჩემი დავალება უზადოდ შეასრულა. მეტოქე ცენტრშივე უნდა დაგვემუხრუჭებინა, რაც შევძელით კიდეც. მართალია, სტუმრებმა შეხვედრის მიწურულს ტემპს უმატეს და ოდნავ გაგვჭირდა, მაგრამ სამი ქულა, ვფიქრობ, დამსახურებულად ავიღეთ".

ᲯᲐᲓᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲘ	3	2	0	1	5:4	6
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	3	2	0	1	5:3	6
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ	3	1	1	1	3:2	4
ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ	3	0	1	2	1:5	1

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. III ტური

C ჯგუფი

ერთბურთიანი კარუსელი

REUTERS ათენიდან

„პსვ ეინდჰოვენს“ სამი ქულა ლუსიუსმა მოუტანა

REUTERS ლა კორუნიადან

დეპორტივო — მონაკო. ლუდოვიკ ჟიულის ნურედინ ნაიბეტმა გასაქანი არ მისცა

დეპორტივო 1:0 მონაკო

1:0 ტრისტანი (83)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, დუშერი, სერხიო, ვიქტორი (სკალონი 81), ვალერონი (პანდიანი 66), ტრისტანი, ლუკე (ფრანი 57)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მონაკო: რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ჟიული, სისე, ბერნარდი, როტენი, პლასილი (პრსო 87), მორიენტესი (ადებაიორი 78)

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: ბერნარდი, გივე

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

25 000 მაყურებელი

აეკ 0:1 პსვ ეინდჰოვენი

0:1 ლუსიუსი (36)

აეკ: მიხაილიდისი, კასაპისი (ბორბოკისი 78), კაპსისი, გეორგიასი, ამპონსაჰი, კაცურიანისი, რუსევი (ლაკისი 60), ზაგორაკისი, ცარტასი, ოკასი, ნ. ლიბეროპულოსი (ივიჩი 60)

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ჰოფლანდი (კოლინი 63), ბუმა, ი. ლი, ფოგელი, ლუსიუსი, რობენი, რომედალი, დე იონგი, კეჟმანი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ჰოფლანდი

გაძევება: ამპონსაჰი (65)

მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

11 500 მაყურებელი

ლაკორუნიული „რიასორის“ 25-ათასიანი პუბლიკა საჩემპიონთალიგო სამშაბათს მორიგი უშელავათო ბრძოლის მომსწრე შეიქნა. გალისიურ სტადიონზე ერთმანეთს C ჯგუფის ლიდერები — დიდიე დეშანის „მონაკო“ და ხავიერ ირურეტას „დეპორტივო“ დაუპირისპირდნენ. მართალია, ეს შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ უსამართლობა იქნება, თუ მატჩის მიმოხილვისას ოდენ ესპანელთა სიჩაუქეს მოვიხსენიებთ — „მონაკომ“ თავდაუზოგავად იომა და „რიასორულ“ ინჩასებსაც სათამაშო დროის განმავლობაში მრავალი საზრუნავი გაუჩინა.

ფრანგულ-ესპანური პაემანი ღირსების ცერემონიალით დაიწყო. გალისიურმა გუნდმა კაპიტან ფრანის მეთაურობით სამეფო თასის განვლილი შეხვედრისას ტრაგიკულად დაღუპული გულშემატკივრის ხსოვნას ტრიბუნაზე ყვავილების ატანით მიაგო პატივი. ბელგიელი არბიტრის ფრანკ დე ბლეეკერის სასტვენის შემდეგ კი ხსენებული უშელავათო შერკინებაც გაჩაღდა.

პირველ წუთებში უპირატესობას „დეპორი“ ფლობდა. ვიქტორ სანჩესმა და სერხიო გონსალესმა სტუმრების საჯარიმო მონაცვლეობით მოინახულეს, თუმცა მათმა დარტყმებმა მიზანს ვერ მიაღწია. მეცხრე წუთზე სებასტიან სკილაჩიმ დიეგო ტრისტანი მეკარე რომას მისადგომებთან სახიფათოდ დასცა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ტაიმის მიწურულს თავისი კლანჭები „მონაკომაც“ გამოაჩინა. მასპინძლებს განსაკუთრებით ლუდოვიკ ჟიული და ფერნანდო მორიენტესი აწუხებდნენ. ამ უკანასკნელმა 41-ე წუთზე პატრიკ ევრას პასის შემდეგ გოლიც შეაგდო, თუმცა დე ბლეეკერმა თამაშგარე აღნიშნა და „რიასორის“ ტაბლოც უცვლელი დარჩა. ტაიმთაშორისის შემდეგ ფრანგები უფრო აქტიურობდნენ და 61-ე წუთზე ფრანსისკო მოლინას მთელი თავისი ოსტატობა დასჭირდა, რათა კარი სკილაჩის აგრესიული თავურისგან ეხსნა. გალისიელთა გამარჯვების გოლი კი 83-ე წუთზე დიეგო ტრისტანმა გაიტანა — საბოლოო ანგარიში 1:0 და „დეპორი“ 7 ქულით უკვე C ჯგუფის სათავეში მოექცა.

ესპანური შეხვედრის მსგავსად, ათენის „აპოსტოლოს ნიკოლაიდისზე“ ამავე ჯგუფის მომდევნო ორი წევრიც მცირეგოლიანი მატჩით დაკმაყოფილდა. დუშან ბაევიჩის უცნაურად დამარცხდნენ — ნიდერლანდელმა ლუსიუსმა მცველთა უყურადღებობის გამო მომგებიანი ბურთი მაშინ შეაგდო, როცა აეკს მარტო გაამფთრებული შეტევა და იერიში ახსოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელების კაპიტანი მარკ ვან ბომელი ავადმყოფობის გამო თამაშს დააკლდა, გუს ჰიდინკის შეგირდებმა მაინც მოახერხეს გასვლაზე მეტად საჭირო გამარჯვების მიღწევა. ბერძნების ფრიადი მცდელობა, ცარტასისა და ოკასის შემწეობით ფრე მაინც „ჩაეჯიბათ“, უშედეგოდ დამთავრდა.

ლადო ხომერიკი

დეპორტივო	3	2	1	0	4:1	7
მონაკო	3	2	0	1	6:2	6
პსვ ეინდჰოვენი	3	1	0	2	2:4	3
აეკ	3	0	1	2	1:6	1

D ჯგუფი

აქეთე, რაც იცი!

სამი არის, დარჩა ცხრა

REUTERS ტურინიდან

დავიდ ტრეზეგე

იუვენტუსი 4:2 სოსიედადი

1:0 ტრეზეგე (3), 2:0, 3:0 დი ვაიო (7, 45), 4:0 ტრეზეგე (63), 4:1 ტუდორი (67ს.კ.), 4:2 დე პედრო (80)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო, ტუდორი (მონტერო 75), ძამბროტა, კამორანეზი (დავიდსი 66), ტაკინარდი, აპია, ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო (ბირინდელი 84)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, პოტილიონი, ჩ. ლი (დე პედრო 66), კარპინი, ალკისა, ხაბი ალონსო (არანბურუ 81), გაბილონდო, კოვაჩევიჩი (ნიჰატი 74)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გაფრთხილება: ტაკინარდი, იულიანო, ხაბი ალონსო

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

17 246 მაყურებელი

„რეალ სოსიედადის“ მწვრთნელს, რეინალდ დენიოს ტაქტიკური ექსპერიმენტი მაინცდამაინც ტურინში, „იუვენტუსთან“ აუტყდა და 2:4 მიიღო კიდეც. დენიოს სიახლე თუ ექსპერიმენტი კი ის გახლდათ, რომ მან შემტევი წყვილი, ნიჰათ კაჰვეჩი და ხავიერ დე პედრო სათადარიგოთა სკამზე დასვა, რათა განლაგება 4-5-1 გამოსულიყო და ამით მოედნის შუა ნაწილი თავისი ფეხბურთელებით გაევსო. მიუხედავად ამისა, „იუვეს“ თავკაცმა მარჩელო ლიპიმ თავის ფეხბურთელებს შეტევა, მთელი ძალით მიწოლა დაავალა და ასეთმა მიდგომამ გაუმართლა — მეშვიდე წუთისთვის „ბებერი ქალბატონი“ უკვე 2:0-ს იგებდა.

ერთი სიტყვით, როდესაც დენიომ ისევ ძველ მეთოდს მიმართა და ზემოხსენებული ორი ფეხბურთელი მოედანზე შეგზავნა, „იუვე“ უკვე 4:0-ს იგებდა — დავიდ ტრეზეგეს და მარკო დი ვაიოს ორორი გოლი ჰქონდათ გატანილი — რის შემდეგ ესპანელებმა მართალია, ორი შეაგდეს, მაგრამ წაგებას ვერ გადაურჩნენ.

„ნიჰათის სკამზე დასმის მიზეზები მრავლად მქონდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი გადატვირთული კალენდარი და ზედიზედ დანიშნული მნიშვნელოვანი მატჩები გახლდათ. სხვა საქმეა, რომ „იუვესთან“ შეხვედრის საბოლოო შედეგი ამ გადაწყვეტილების სიმცდარეზე მიმანიშნებს. შეხვედრა დაიწყო თუ არა, „იუვენტუსი“ თითქოს აფეთქდა და ამ აფეთქებასთან შეზავებულმა ჩვენმა შეცდომებმა ძალიან ცუდი შედეგი მოგვცა. როდესაც ასეთ მეტოქესთან მეშვიდე წუთზე უკვე 0:2-ს აგებ, თამაშის გადარჩენის შანსი, ფაქტობრივად, არ გაქვს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ რეინალდ დენიომ.

„სოსიედადის“ მეკარემ, სანდერ ვესტერფელდმა კი თქვა, რომ მისი გუნდი ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა გუნდმა დაამარცხა: „ჩვენ საუკეთესო შემადგენლობით არ გვითამაშია, ხოლო როდესაც „იუვენტუსს“ ასე ეწინააღმდეგები, ცხადია, ვერ გაიმარჯვებ. ვფიქრობ, დე პედრო შევიდა თუ არა მოედანზე, უმალ დაგვენახა, რომ ძალიან მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს. ჩვენ დაუყოვნებლივ გავიტანეთ ორი გოლი, მაგრამ მე მწვრთნელი არ გახლავართ. მწამს, ფრედ მაინც უნდა გვეთამაშა, მაგრამ მასპინძლებმა ორი გოლი ძალიან მალე გაგვიტანეს და მთელი გეგმა ფანჯრიდან მოსასროლი გაგვიხდა.“

„იუვენტუსის“ ნახევარმცველი სტეფან აპია: „მწვრთნელმა გვთხოვა, მეტოქისთვის სირთულეები რაც შეიძლება მალე შეგვექმნა. ვიცოდით, რომ გუნდი, რომელსაც პასით თამაში ძალიან კარგად ეხერხება, უნდა შეამჭიდროვო. არ შეიძლებოდა მისთვის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ისეთივე სივრცეები დაგვეთმო, როგორსაც ესპანეთის პირველობაზე უთმობენ“.

და ბოლოს, „იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „ვფიქრობ, ამ გუნდს შემდეგ თამაშში ჩვენი გამწარება შეუძლია. სხვაა, რომ ჩემი ფეხბურთელების თამაშში დავინახე ბევრი დადებითი. მათ უყოყმანოდ გაიმარჯვეს“.

გალათასარაი 1:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ჯიჰანი (8)

გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთი, პრატესი (ჰ. უნსალი 69), ფ. დე ბური, ერგუნი, აიჰანი, ჯიჰანი, საბრი (სუათი 90), ბატისტა, ჰ. შუქური, არიფი (პეტრე 76)

მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი

ოლიმპიაკოსი: ბუჩეკი, მავროგენიდისი (ტაცისი 85), ანატოლაკისი, ვენეტიდისი, პანტოსი, კარამბუ, სტოლტიდისი (კაფესი 61), ანცასი, პ. ჯორჯევიჩი, ჯოვანი, კასტილიო (გეორგიადისი 77)

მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი

გაფრთხილება: სტოლტიდისი, აიჰანი, ჯოვანი, პრატესი, შუქური

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

50 000 მაყურებელი

ახლა ამბობენ, ჰაკან შუქურმა ჯგუფის სხვა გუნდებს გამაფრთხილებელი სიგნალი გაუგზავნაო. ერთი სიტყვით, „გალათასარაიმ“ „ოლიმპიაკოსს“ 1:0 მოუგო და პირველი ქულები მოიპოვა.

„თამაშის წინ ვთქვით, რომ დარჩენილი 12 ქულიდან თორმეტივე გვინდა. ამ გამარჯვების შემდეგ ცხრა დარჩა და ვიმედოვნებ, რომ ცხრავეს მოვიპოვებთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ერთადერთი გოლის ავტორმა.

მართლაც, „გალათასარაიმ“ შეჯიბრება ცუდად დაიწყო. ჯერ ტურინში დამარცხდა „იუვენტუსთან“, შემდეგ „რეალ სოსიედადისგან“ იწვნია სიმწარე, ასე რომ, „ათათურზე“ ბერძნების ძლევა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტამბოლელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი მეკარე ფარიდ მონდრაგონმა შეიტანა. მეკარესთან ერთად სტუმრების სახიფათო შეტევებს მცველებიც ღირსეულად უმკლავდებოდნენ.

„გალათასარაის“ მწვრთნელი ფატიჰ თერიმი: „თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, საგოლე სიტუაციებიც მრავლად გვქონდა და კიდევ ერთი გოლი რომ შეგვეგდო, შესვენების შემდეგ თავს მშვიდად ვიგრძნობდით. მეორე ტაიმში ჩვენი უპირატესობა ხომ დასაცველი გვქონდა. ჩემი ფეხბურთელები მეტისმეტად დაიღალნენ. ისინი დიდი ზეწოლის ქვეშ იყვნენ და მესმის, რატომაც ვერ მოახერხეს მეორე გოლის შეგდება“.

ზემოთ მონდრაგონი ვახსენეთ და გვინდა ცალკე აღვნიშნოთ, რომ მან პირველ ტაიმში პრედრაგ ჯორჯევიჩისა და იეროკლის სტოლტიდისის, მეორეში კი კასტილიოს დარტყმები დიდებულად მოიგერია. რაც შეეხება 58-ე წუთის ეპიზოდს, აქ ჯოვანის თავით დარტყმული მეკარემ ვერ იხელთა, მაგრამ ძელმა აისხლიტა.

ისევ თერიმი: „ვულოცავ ჩემს ფეხბურთელებს. მათ დიდებულად ითამაშეს. ჩვენ წინა ორ თამაშშიც ძლიერები ვიყავით, ასე რომ, ამჯერად ნამდვილად ვიმსახურებდით გამარჯვებას. დიდებული იყო ჰაქანი, რომელიც ცხვირგატეხილი და ტრავმირებული თამაშობდა“.

„ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი: „გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით. სამწუხაროდ, მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ამრიგად, სამი შეხვედრიდან სამივეში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ქულები ვერ მოვიპოვეთ. ეს უბრალოდ კარგი თამაშები იყო“.

ბაპუნა ძიძია

იუვენტუსი	3	3	0	0	8:4	9
სოსიედადი	3	2	0	1	5:5	6
გალათასარაი	3	1	0	2	3:4	3
ოლიმპიაკოსი	3	0	0	3	1:4	0

ვინ თქვა შირერის სიბერე?!

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ფულემი 2:3 ნიუკასლი

1:0 კლარკი (6), 2:0 საჰა (8), 2:1 რობერი (16), 2:2, 2:3 შირერი (51პ, 56)

ფულემი: ვან დერ სარი, ლიკოკი, ბონისელი, ნაითი, გომა, ლეგვინსკი, პემბრიჯი (ინამოტო 79), კლარკი, მალბრანკი, ბუარი (პეილსი 46), საჰა

მწვრთნელი: კრის კოულმენი

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბერნარი, ობრაიენი, ბრემბლი, ჯენასი, სპიდი, ბოიერი, რობერი (ამბროზი 87), შირერი, ამეობი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: პემბრიჯი, ლეგვინსკი, სპიდი, ბოიერი

მსაჯი: ნაითი

16 506 მაყურებელი

არსენალი	9	7	2	0	18:7	23
მანჩესტერი	9	7	1	1	17:3	22
ჩელსი	9	6	2	1	19:9	20
ბირმინგემი	9	4	4	1	8:5	16
სიტი	9	4	3	2	20:11	15
ფულემი	9	4	3	2	17:12	15
ჩარლტონი	9	4	2	3	13:12	14
საუთჰემპტონი	9	3	4	2	8:5	13
პორტსმუთი	9	3	3	3	11:9	12
ნიუკასლი	9	3	3	3	12:12	12
ლივერპული	9	3	2	4	12:10	11
ტოტენჰემი	9	3	2	4	10:13	11
ევერტონი	9	2	3	4	12:14	9
ასტონ ვილა	9	2	3	4	8:12	9
ბლექბერნი	9	2	2	5	15:17	8
ლიდსი	9	2	2	5	8:18	8
ბოლტონი	9	1	5	3	8:18	8
მიდლსბრო	9	2	1	6	7:15	7
ვულვზი	9	1	3	5	3:18	6
ლესტერი	9	1	2	6	11:17	5

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

უოტფორდი 1:1 ძოვენთრი

1:0 ფიცჯერალდი (83), 1:1 სტონტონი (90)

ძრიუ 2:1 პრესტონი

1:0 ლანტი (10), 2:0 ფოსტერი (28), 2:1 ეტუჰუ (90)

ნორვიჩი 2:1 დერბი ძაუნთი

0:1 ტეილორი (61პ), 1:1 რობერტსი (81), 2:1 მალრინი (90)

ვესტ ბრომვიჩი 0:1 უიმბლდონი

0:1 მაკანუფი (79)

კრ. პალასი 3:4 იფსვიჩი

1:0 ჯონსონი (5), 2:0 ფრიდმენი (16), 2:1, 2:2 ნეილორი (26, 45), 2:3 კუნაგო (78), 3:3 ფრიდმენი (88), 3:4 კუქი (89)

რედინგი 0:1 უოლსოლი

0:1 სემვისი (4)

სანდერლენდი 0:0 როტერჰემი

უიგანი 1:1 შეფილდ იუნ.

1:0 ჰორსფილდი (4), 1:1 ლესტერი (86)

უიგანი	15	8	6	1	21:11	30
ვესტ ბრომვიჩი	14	9	1	4	20:13	28
შეფილდი	14	8	3	3	23:14	27
სანდერლენდი	14	8	3	3	19:10	27
იფსვიჩი	15	8	2	5	28:21	26
ვესტ ჰემი	13	7	4	2	17:9	25
ნორვიჩი	14	7	4	3	20:15	25
მილუოლი	15	6	5	4	19:15	23
რედინგი	14	6	3	5	21:17	21
ნოტინგემი	13	6	2	5	25:16	20
ქრიუ	14	6	2	6	16:18	20
კარდიფი	13	5	4	4	23:15	19
პრესტონი	14	6	1	7	19:18	19
ბარნსლი	14	5	3	6	22:27	18
უოლსოლი	14	4	4	6	15:16	16
ქოვენთრი	13	4	4	5	18:20	16
კრ. პალასი	14	4	4	6	20:23	16
სტოკი	14	4	3	7	16:19	15
დერბი	15	3	5	7	15:25	14
უოტფორდი	13	3	4	6	13:16	13
ჯილინგემი	14	3	4	7	13:23	13
როტერჰემი	15	2	7	6	10:22	13
ბრედფორდი	14	3	3	8	13:23	12
უიმბლდონი	14	2	1	11	14:34	7

ქაჩალმა ჯერ არ მოიფხანა, მერე მოიგლიჯაო, „ნიუკასლ იუნაიტედის" საქმეც ასეა. მხოლოდ ამ მატჩს არ ვგულისხმობთ — სერ ბობი რობსონის ბიჭებს ექვსი ტურის მერე სამადლოდ ერთი მოგებაც არ ჰქონდათ და ცხრილის ფსკერზე ბოგინობდნენ, მერე კი ზედიზედ სამი თამაში მოიგეს და ცხრილის შუაგულში აღზევდნენ.

„ლოფტუს როუდზეც" ასე არ იყო? რობსონელები მერვე წუთისთვის უკვე 0:2 აგებდნენ და „ფულემს" თავი ქუდში, სამი ქულა ჯიბეში და მეოთხე ადგილი ცხრილში ეგონათ. თანაც ლონდონელები 23 აგვისტოს მერე არ დამარცხებულიყვნენ და ახლა რა ღმერთი უნდა გასწყრომოდათ.

და ვინ თქვა, შირერი დაბერდაო? ინებეთ: ინგლისის ნაკრების ოდინდელმა კაპიტანმა და დიდმეგოლემ მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებს ორი გოლი უთავაზა და რაკი, ერთი ბურთი ლორან რობერს პირველ ტაიმშივე ჰქონდა გაქვითული, სამი ქულაც ჯორდთა მხარეში წაიღო.

დავძინოთ, რომ „ფულემისთვის" ბოლო ნახევარ კვირაში ეს მეორე იმედგაცრუებაა — წინა უქმეებზე ხომ ასევე საშინაო შეხვედრაში წყალწაღებულ „ვულვერჰემპტონს" ვერ მოუგო, თორემ იქნებოდა ახლა „ჩელსის" გვერდით.

ირაკლი ნინიძე

„ნიუკასლის" გამარჯვება უბერებელმა ალან შირერმა გამოჭედა



გაუპატიურების საქმე №2
ჯოდი მორისი ჩასვეს

ჯოდი მორისი პოლიციამ წაიყვანა. სამშაბათს დილით, სარიში, 24 წლის ფეხბურთელის სახლში მისულმა დასავლეთ იორკშირელმა სამართალდამცავებმა იგი ჰადერსფილდის, ჩვენებურად რომ ვთქვათ, განყოფილებაში, მათებურად კი პოლიციის სადგურში გაიყოლეს. იმავდროულად დაიჭირეს 26 წლის ლონდონელი კრისტოფერ დიკი, რომელიც ფეხბურთელი არ არის, მაგრამ თუ ამ თემისადმი მიძღვნილი ჩვენი წინა წერილები გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ იგი უცნობილესი ინგლისელი გამომძიებლის, დაახლოებით თანამედროვე შერლოკ ჰოლმსის ვაჟია და მორისის ძმაკაცია მისი „ჩელსიში" თამაშის დღეებიდან.

მაშ ასე, ერთი ხნის წინ ინგლისში ჩადენილი ორი „საფეხბურთო" გაუპატიურების საქმიდან მეორემ ისევ შეგვახსენა თავი, პირველი კი ჯერ დუმს. ეს გახლავთ ლიდსის საქმე, რომელიც აწყობილია ვიღაც ჩივილზე, რომ იგი ტრასისპირა ავტოსადგომზე ორმა ბარში გაცნობილმა კაცმა გააპატიურა. მორისი და დიკი მაშინვე დააპატიმრეს და 33 საათი დაკითხვის ოთახშიც ჰყავდათ, მაგრამ მერე დროებით გაუშვეს. მორისი დასაჯა „ლიდს იუნაიტედის" უფროსობამაც, რომელმაც თავისი გამოძიებაც წამოიწყო. კლუბმა ფეხბურთელი გააფრთხილა, რომ იოტისოდენა ბრალის შემთხვევაში შეუძლია თავი „ლიდსის" წევრად აღარ ჩათვალოს. ახლა ეს ორი კაცი ისევ დააკავეს, ხოლო დანარჩენს დაველოდოთ.

პაპუნა ძედია

კრუიფი ჭორია
დამისტვენთ? წავალ!

კატალონიურ „ბარსელონაში" დაწყებული საფეხბურთო რევოლუცია ფრიად დიდ მოთმინებასა და ვრცელ საფეხბურთო დროს ითხოვს. დღესდღეობით „ბარსა" თავისი საპრიმერო კარიერის არცთუ დალხინებულ ეტაპს გადის — ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ფრანკ რაიკარდის გუნდი მისთვის შეუფერებელ მეთერთმეტე ადგილზეა და ამ „საშუალო ჭაობიდან" თავის დასაღწევად გამოსავალს ეძებს. ნანატრი გამარჯვების მოლოდინში კატალონიელებმა დიდსაფეხბურთო მხსნელ-მოღვაწეთა სია სასოებით გაცხრილეს და იქაურმა მედიამაც მოულოდნელი სიძლიერის საინფორმაციო ნაღმი ააფეთქა — კრუიფი! ერთ-ერთ სამწვრთნელო თანამდებობაზე დაბრუნებასა და ახალი სასწაულების მოხდენას აპირებს. კლუბიდან გამოსული ინფორმაცია კი ამ ვერსიას ურყოფს. „იოჰან კრუიფისთვის ჩვენი გუნდის კარი ყოველთვის ღიაა. მის რჩევებს უდიდესი სიამოვნებით გავითვალისწინებთ. თუმცა შემიძლია



სრული დარწმუნებით გითხრათ, რომ ჰოლანდიელი კლუბის არანაირ თანამდებობაზე არ მოიაზრება" — აღნიშნა ხაბიერ კამბრამ, „ბარსელონას" ოფიციალურმა წარმომადგენელმა EFE-ს სააგენტოსთან შეხვედრისას. ასე რომ, „მფრინავი ჰოლანდიელი" კატალანთათვის ოდენ საპატიო მრჩევლად დარჩება.

ხუან ლაპორტას საპრეზიდენტო კლუბს კი ამასობაში პატრიკ კლუივერტთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ამ სეზონის „[illegible]ვი პატრიკის" წარუმატებლობა [illegible] მაშის შემდეგ „კამპ ნოუს" შემოგარენის ინჩადა სერიოზულად დაფიქრდა „ბარსელონაში" მისი ყოფნა-არყოფნის საჭიროებაზე. კლუივერტს ინგლისური „ნიუკასლი" უმიზნებს, თუმც „ბარსას" თავკაცებს მისი გაყიდვა ჯერჯერობით არ სურთ. „მე კლუივერტს ვენდობი. იგი დიდი ფეხბურთელია და თავის სიჩაუქეს მოკლე ხანში დაამტკიცებს. მისი გაყიდვა ჩვენთვის დანაკარგი იქნება" — განაცხადა ფრანკ რაიკარდმა „სპორტთან" საუბრისას. თავად პატრიკი კი მისი შესაძლო წასვლის შესახებ ასე მსჯელობს: „ნიუკასლში" გადასვლას არ ვაპირებ, მაგრამ თუ აქაური ინჩასები შემდგომ შეხვედრებშიც დამისტვენენ, „ბარსელონაში" თამაში აღარ მოვინდომებ. სისულელეა იმ გუნდში დარჩენა, რომლის ფანებსაც შენი იმედი აღარ აქვთ."

ლადო ხომერიკი

კალონი და ნანდროლონი

მილანის „ინტერნაციონალეს" ცუდი დროება უდგას. გუშინწინ მოსკოვის „ლოკომოტივმა" დაჩაგრა, გუშინ კი მუჰამედ კალონს სადოპინგო ტესტირებაში აკრძალული სტეროიდი ნანდროლონი აღმოუჩინეს.

კალონმა დოპინგ-ტესტი სერია A-ს ბოლო ტურის „უდინეზე" — „ინტერის" მატჩის შემდეგ გაიარა და პასუხი გუშინ გამომზეურდა. თუმც „ინტერის" ფორვარდის საქმე დისკვალიფიკაციამდე რომ მივიდეს, კალონმა მეორე, ეგრეთ წოდებული B ტესტიც უნდა გაიაროს და თუ მეორადი ანალიზის შემდეგაც დადებით შედეგი ამოვა ნანდროლონზე, კალონს სადისციპლინო ტრიბუნალზე გაუშვებენ.

წლეულს იტალიაში დოპინგის მოხმარებისთვის ერთი ფეხბურთელი უკვე ამხილეს — „პარმას" ნახევარმცველი მანუელ ბლაზი.

დავით თაგართქილაძე

ვამბობთ ოსერს, ვგულისხმობთ გი რუს

ათი წლის მერე? ვინ იცის...

ფრანგ მწვრთნელთა უხუცესს, „ოსერის“ მენტორს, გი რუს 65 წელი შეუსრულდა და „ეკიპის“ კორესპონდენტს, ვენსან მაშნოს თავისი კარიერის ეპიზოდები უამბო, რასაც ქართულად გთავაზობთ



პატარა, გახვრეტილი მწვანე ბურთი

1943 – 5 წლისა

ნუ გაგიკვირდებათ და ჩემი მაშინდელი დღეობა ძალიან კარგად მახსოვს, რადგან სწორედ იმ დღეს პირველად წავედი სკოლაში. მაშინ საფრანგეთი გერმანიას ჰყავდა დაპყრობილი. მე სკოლაში სოფელ აპოინიდან მივდიოდი, ეს სოფელი ოსერთან არის ახლოს. ბებია-ბაბუას სახლიდან კილომეტრნახევარი მქონდა გასავლელი და მთელ ამ გზას პატარანახვრეტიანი მწვანე ბურთის გორებით ვფარავდი. იმ ნახვრეტიდან ჰაერი გამოდიოდა. ერთხელ ბურთი წყლის არხში ჩამივარდა. მახსოვს, ძალიან დიდხანს ვტიროდი.

იმ წლებში ქსოვა ვისწავლე. ფირზეც კი გვაქვს გადაღებული, როგორ ვქსოვ სვიტრს. ევროპაში ომი მძვინვარებდა, თუმცა, ცხოვრება თავისი დინებით მიდიოდა და დღისით ომს მაინცდამაინც არავინ იხსენებდა, მხოლოდ საღამოობით ჩავუჯდებოდით ხოლმე ლონდონის რადიოს, ოღონდ ძალიან ხმადაბლა, მტერს ყური რომ არ მოეკრა.

დღე გაკვეთილებით მქონდა დატვირთული, გაკვეთილების შემდეგ კი ფეხბურთს ვთამაშობდით. ფეხბურთი, ფეხბურთი და ფეხბურთი. მეგობრები იცოცხლეთ, ბევრი მყავდა და არც ბურთს ვიშორებდით. ვთამაშობდით ეზოებში, მდელოზე, ბაღებში, ქუჩებში. იმხანად უკვე გუნდებს ვკრებდი და მატჩებს ვნიშნავდი. ფეხბურთი მეტად და მეტად მიყვარდა.

ერთი ხნის შემდეგ, როდესაც უკვე კოლმარში ვცხოვრობდი, სადაც ოჯახი ბოსტნეულს უვლიდა, ყოველ კვირა დღეს სტადიონზე ვატარებდი. იქ გადაგდებული ბურთები მომქონდა და ამიტომ ბილეთის ფულს არ მახდევინებდნენ.

ნაშუადღევს ორ-ორი მატჩი

1953 – 15 წელი

ეს ის დროა, როდესაც პირველი ბუცები ჩავიცვი. მანამდე ჩემი ფეხსაცმლით ვთამაშობდი. იგივე ფეხსაცმლით კვირაობით ეკლესიაში დავდიოდი და რომ არ ეცურა, ლურსმნებიც ჩავაჭედე. ცხადია, ბებია-ბაბუის იმედი გაცრუვდა და იმ ფეხსაცმელმა დიდხანს ვერ გაძლო. ბუცები კი ამხანაგისგან ვიყიდე და ძალიან ვამაყობდი. იმ ფულის საშოვნელად კანონს ვარღვევდი — კიბორჩხალებს ვიჭერდი და რესტორნებს ვაბარებდი.

ბუცები კი აუცილებლად მჭირდებოდა, რადგან უკვე ორ გუნდში ვთამაშობდი — „აპოინის“ ნახევარმცველიც გახლდით და იმავდროულად „ოსერის“ ბიჭებთან ერთადაც გავდიოდი მოედანზე. ერთი სიტყვით, „ოსერის“ თამაშის დასრულების შემდეგ საგანგებოდ ჩემთვის მოგორებულ ურიკაზე ვჯდებოდი და „აპოინის“ მატჩზე მივდიოდი. უცბად ვიცვლიდი ფორმას და ხელად მეორე შეხვედრაში ვერთვებოდი.

მაშინვე ჩამოვყალიბდი „ეკიპის“ მუდმივ მკითხველად. ფეხბურთის გარდა მძლეოსნობას ვეტანებოდი. იმავე წელიწადს მარსელში სკოლის მოსწავლეთა ჩემპიონატზე ჩასასვლელად ორგანიზატორებმა ბილეთი არ მომცეს და 1000 და 3 000 მეტრზე სათადარიგოდ ჩამწერეს. გავბრაზდი. ბიჭებს დავენიძლავე, „ველოდრომზე“ მაინც მნახავთ-მეთქი და მარსელს ველოსიპედით გავემგზავრე. სამდღენახევარში ტრეკზე შევედი. ხალხმა ოვაცია მომიწყო. უკანაც ველოსიპედთ დავბრუნდი, რითაც საათის ფული დავზოგე.

დე გოლის ვიზიტი

1963 – 25 წელი

ფეხბურთის ისტორიას დიდი მოწიწებით ვეკიდები. მაგალითად, მაქვს ძველისძველი ბურთი, რომელსაც თვალის ჩინივით ვუფრთხილდები. ამიტომაც 1963 წელი იმითაც მახსოვს, რომ იმ წელიწადს ახალი ბურთები გამოვიდა, „ჰუნგარია“ ერქვა.

ალჟირში ომი რომ ჰქუხდა, მე ვსწავლობდი და სამხედროდან თავისუფალი გახლდით. მანამდე, ერთი წლით ადრე კი გერმანიაში გავდიოდი სამხედრო სამსახურს. რომ გითხრათ, იმ პერიოდის ამბებიდან რაიმე საგანგებოდ მახსოვს-მეთქი, მოვიტყუები, რადგან ყურადღება არაფერზე გამიმახვილებია, თუმცა გენერალ დე გოლის ვიზიტი ყაზარმებში არ მავიწყდება. მახსოვს წარმოუდგენლად გაპრიალებული ტანკები, ყველას თეთრი ხელთათმანები ეცვა და ჩინებული სანახავი იყო.

როგორც ბატალიონის საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი პრივილეგირებულ მდგომარეობაში გახლდით. არჩევანი იცოცხლეთ, მდიდარი მქონდა — ყოველთვიურად ორი ათასი ახალწვეული მოჰყავდათ, შიგადაშიგ ძალიან კარგ ფეხბურთელებს ვაწყდებოდი. სწორედ მაშინ დავიწყე მწვრთნელობაზე სერიოზული ფიქრი. სამხედრო სამსახურითაც ვისარგებლე და ჟორუ ბულონის სკოლაში მსმენელად ჩავეწერე. თან, ლიმოჟში სტაჟირების დროს ფლამიონმა და მისმა მოადგილემ, კაიეტონმა მითხრეს, რომ პროფესიული ფეხბურთისთვის ძალიან ზანტი ვიყავი, არადა, ძალიან მინდოდა სახელი გამეთქვა, ამიტომაც არჩევანი თავისთავად გავაკეთე — მწვრთნელობა.

ოსერის ჩვეულებრივი მაცხოვრებელი

1973 – 35 წელი

იმ წელიწადს საფრანგეთის სამოყვარულო ჩემპიონატში (დღევანდელი დაყოფით მესამე ლიგაში) მესამე სეზონი დავიწყეთ. უნდა გითხრათ, რომ ცხოვრებაში ისეთი სიხარული არ განმეცადა, როგორიც ჩვენი ამ შეჯიბრებაში დაშვების დღეს განვიცადე. მახსოვს, დილაადრიან გავიქეცი გაზეთ „ონ რეპუბლიკენის“ საყიდლად.

სამი წლის შემდეგ კი იმ ლიგაში თავს უკვე შინაურულად ვგრძნობდით, ოთხეულში ვიყავით და მეორე დივიზიონზე ვოცნებობდით. ერთადერთი, რაც მაბრკოლებდა, ეკონომიკური მდგომარეობა გახლდათ. ვამბობდი, რომ მეორე დივიზიონში ასვლა ძალიან ძვირი დაგვიჯდებოდა. თავად „ოსერის“ მეორე, ხანდახან მესამე გუნდშიც ვთამაშობდი და ამას მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებისთვის ვაკეთებდი.

ფეხბურთს ჩემთვის შემოსავალი არ მოჰქონდა, ამიტომ სადაზღვევო სააგენტო გავხსენი და თვეში 1200 ფრანკი გამომდიოდა. ერთი სიტყვით, ოსერის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მაცხოვრებელი გახლდით. არავინ მიცნობდა და ერთი ავტოგრაფიც არ მქონდა გაცემული. პირველი ავტოგრაფი 1979 წლის 16 ივნისს გავეცი, როდესაც საფრანგეთის თასის ფინალში „ნანტს“ მოვუგეთ 4:1. ის ავტოგრფი პარიზ-ოსერის ტრასაზე ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელმა მთხოვა.

1983 – 45 წელი

ეს ის წლებია (1980-დან მოყოლებული), როდესაც პირველ დივიზიონში ვთამაშობდით და ჩემს გუნდს პირველ დიად „ოსერს“ ვუწოდებ. იქ თამაშობდნენ, ზარმაში, კუპერლი, გარანდი, ლანტიე, ლოკოლი, შარლი, პერდრიო და ბატი. მართლაც ძლიერი გუნდი იყო, ვეტერანებით და მომავალი თაობით სავსე.

ესპანეთში ვერ მიმიხვდნენ

1993 – 55 წელი

ევროთასებზე [illegible] ახლე არ არის, მეოთხედფინალში „აიაქსს“ შევხვდით... მოიცა, ეს ის სეზონი ხომ არ არის, კრიზისი რომ გვქონდა? არა, ეს ის წელიწადია, „მარსელი“ შარში რომ გაეხვა. მოკლედ, მოულოდნელად უეფას თასზე ვხვდებით და „ტენერიფე“ გვხვდება. ამ გუნდის მწვრთნელი მაშინ ვალდანო იყო. ესპანეთში 2:2 ვითამაშეთ, შინ კი სამწუხაროდ, 0:1 წავაგეთ. მაშინ ერთი ფრაზის განმარტება მომიხდა: კანარის კუნძულებზე ვთქვი, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით იქაურობა აფრიკასთანაა ახლოს. ქომაგებმა ეს ცუდად გაიგეს...

დედამიწაზე ბედნიერი ვარ

2003 – 65 წელი

დრო როგორ გადის ვერ ვამჩნევ. „აბე-დეშამზე“ ყოველ შეხვედრას ერთი და იმავე ადგილიდან ვადევნებ თვალს. ეს სკამი ბევრმა გადაცვალა, მე კი სანტიმეტრით არ ჩავწეულვარ. მერწმუნეთ, ამ მოედანზე ბალახის თითოეული ღერი ვიცი. მუდმივად ბურთს ვაკვირდები, ვიცი სად არის და როგორ მიფრინავს. შენელებული კადრები მე არ მჭირდება.

65 წელი ცოტა არ არის. ვფიქრობ, კარგი ასაკია, მით უფრო, რამდენიმე წლის წინანდელ გულის შეტევას თუ გავიხსენებ. მეგონა ვკვდებოდი, მაგრამ მერე ვიგრძენი, რომ ძალა მიბრუნდებოდა. იცით, სამოთხეშიც სიამოვნებით ვავარჯიშებდი გუნდს, თუმცა დედამიწაზეც ბედნიერი ვარ.

გეგმა ბევრი მაქვს. ყოველ დილით ენთუზიაზმით აღსავსე მივდივარ ვარჯიშზე. ისე, დიახაც, დავბერდი და, ალბათ, მართლაც ბებრული ცხოვრების დროა, მაგრამ ამას რომ გავიფიქრებ, საიდანღაც ძალონე მოვარდება ხოლმე. თანაც, ვამაყობ, რომ 18 ოქტომბრიდან პენსიის აღების სრული უფლება მაქვს. ეს მე ნამდვილად დავიმსახურე, თუმცა პენსიის იმედით ვერ ვიცხოვრებ. მხოლოდ ღვთის იმედი მაქვს.

ათი წლის მერე? ამ წუთას ძნელია თავის ათი წლის შემდეგ წარმოდგენა. ვინ იცის, იმ დროს აპოინის სასაფლაოზე მატლებს ვმასპინძლობდე. ვინ იცის...

მოამზადა **პაპუნა კედია**

პეტერ ჩეხი

ფრთხილად, ტოლდო! ჩეხი ჩეხი ახსენეს

ბურთს ბერმუდის სამკუთხედში ნუ ჩააგდებთ

მილანის „ინტერი“, რომელმაც სამშაბათს მოსკოვში „ლოკომოტივთან“ 0:3 წააგო ფრანჩესკო ტოლდოს შემდგომ ერაზე ფიქრობს და ამ ფიქრში ჩეხ პეტერ ჩეხთან მიდის. ვინც არ იცის მოვახსენებთ, რომ ტოლდოცა და ჩეხიც მეკარეები არიან

ჩეხი 21 წლის გახლავთ და, მოსალოდნელია, რომ სეზონის ბოლოს ფრანგული „რენიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა. ცნობილია, რომ მისი შეძენით „ინტერის“ გარდა დაინტერესებულნი არიან „რეალი“, „ბარსელონა“ და „ლაციო“, მაგრამ რატომღაც ამ კონკურენციაში უპირატესობას სწორედ „შავ-ლურჯებს“ ანიჭებენ. სხვა საქმეა, რომ „ინტერში“ ჩეხს კარში უმალ არ ჩააყენებენ და რამდენიმე წელი ტოლდოს შემცვლელად ეყოლებათ.

ხოლო იუვენტუსელ ედგარ დავიდსს ისეთი ასაკი აქვს, რომ რამდენიმე წელიწადს ვერავის მოუცდის, ყველაფერი დღესვე და ძალიან მკაფიოდ სჭირდება. კერძოდ, იმის თქმა გვინდა, რომ დავიდსის „რომაში“ შესაძლო გადასვლას (მომავალ ზაფხულზეა ლაპარაკი) წყალი უდგას — რომაელებს ფინანსური პრობლემები ჰქონიათ, ვალიო, ერთიო, მეორეო... და სანამ „რომა“ ერთიო და მეორეოს იძახის, დავიდსს თურმე ზემოხსენებული „ინტერი“ უცუცქდება. „ინტერის“ ახალი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ჰოლანდიელის დიდი თაყვანისმცემელია, ხოლო კლუბის პრეზიდენტს, მასიმო მორატის დიდი ხანია დავიდსის შეძენა სურს. ბოლო იტალიური ჭორის თანახმად, „პიტბულმა“ ახლახან მილანის ახლომახლო იყიდა სახლი.

თუმცა ტრანსფერები მომავლის საქმეა, წარსულში ცნობილი ფორვარდი ჯანლუკა ვიალი კი ძირითად საქმეზე ამბობს, რომ სკუდეტოს ან „რომა“ მოიგებს, ან „მილანი“, ანაც „იუვენტუსი“.

— „რომას“ დიდებული სტარტი ჰქონდა. ეს ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდია, ანუ ფაბიო კაპელო კომპაქტურ შემადგენლობას უდგას სათავეში, ხოლო ის, რომ „რომა“ ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს უპირატესობაა, რადგან მხოლოდ ერთ შეჯიბრებაზე მოიკრებს ყურადღებას“.

„სამპდორიას“ და „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი (და „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი), როგორც მოგახსენეთ, კიდევ ორ გუნდზე ამყარებს იმედს.

— ტურინელები მეტად თანმიმდევრულნი



ჯანლუკა ვიალი

არიან, რაც მათი მარადიული თვისებაა. „იუვე“ შეცდომებს იშვიათად უშვებს, ხოლო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მგონი გოლს საერთოდ არ უშვებს. რაც შეეხება „მილანს“, ეს ის გუნდია, რომელსაც დაცვაში პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა ჰყავს, ხოლო შეტევა ნამდვილად საშიში აქვს. ბურთი კაკას, შევჩენკოს და ინძაგის შორის თუ ჩავარდა, დაემშვიდობე, ვეღარ ნახავ. ბერმუდის სამკუთხედია ნამდვილი“.

პაპუნა კედია

გერმანია თქვენი, პრემია ჩემი

ფედერაციაში ლუდი და ცივი ჩაი შევიდა

დღეს ოფიციალურად გაფორმდება კონტრაქტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „ყაზბეგს" შორის — როგორც იქნა, ფედერაციას ქართული კომერციული პარტნიორი გამოუჩნდა.

ხელშეკრულება ორწლიანია და გერმანია 2006-ის შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე გასტანს. საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშებზე გამოჩნდება ფირნიშები „ყაზბეგის" ლოგოთი. ამ კომპანიის სიმბოლიკა გუნდის სავარჯიშო თუ სათამაშო ამუნიციასაც დაამშვენებს. მოკლედ, ფედერაცია „ყაზბეგს" სარეკლამო საქმიანობაში დაეხმარება და ცხადია, თანხასაც მიიღებს მისგან. ხოლო თუ ჩვენი ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება, პრემიალურებსაც „ყაზბეგი" გადაიხდის.

დავით თავართქილაძე

იყო საქართველო, არის ინდონეზია

ასეულს უყურეთ, ბიჭებო

1	1	ბრაზილია	854	15	14	ირლანდია	705
2	2	საფრანგეთი	827	16	17	ბელგია	696
3	3	ესპანეთი	777	17	17	პორტუგალია	686
4	4	არგენტინა	747	18	18	შვედეთი	681
5	7	ჰოლანდია	746	19	19	კოსტა რიკა	680
6	6	ინგლისი	745	20	23	ხორვატია	664
7	9	გერმანია	744				
8	12	იტალია	742	28	28	რუსეთი	637
8	5	მექსიკა	742				
8	8	თურქეთი	742	43	44	შვეიცარია	592
11	9	ჩეხეთი	739				
12	11	აშშ	731	87	81	საქართველო	479
13	13	კამერუნი	711				
14	14	დანია	707	91	86	ალბანეთი	469

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

ფიფა-კოკა-კოლას ყოველთვიური სარეიტინგო ცხრილის გამოქვეყნებისას ვინძლო, ქართველ ქომაგს ეს კითხვაც აწუხებს — არის თუ არა საქართველო მსოფლიოს კლასიფიკაციის ასეულში?

გუშინ საოქტომბრო რეიტინგ-ცხრილი გამომზეურდა. სამაღარიჩო ამბავია — საქართველო ასეულს არ გასცილებია და 87-ეა. ერთ რამეზე კი დაგწყდება კაცს გული — რუსეთის გადამკიდე „შინდისფერებმა" 6 საფეხურით დათმეს პოზიციები და ისეთი „მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების" ქვეყანას გაუცვალეს ადგილი, როგორიც ინდონეზიაა.

წინა თვესთან შედარებით, სარეიტინგო ცხრილში იფრინეს კუვეიტმა და ერაყმა, ერთმა 28 პოზიციით აიწია ზევით, მეორემ — 23-ით. საგრძნობი სარეიტინგო რეგრესი განიცადა ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენილმა უნგრეთმა — მადიარებმა 15 საფეხურით ჩაინაცვლეს და 67-ე ადგილზე აღმოჩნდნენ.

მოწინავეთა შორის იტალია ახტა 4 საფეხურით და მერვე ადგილზეა, გაილაღა ჰოლანდიამაც და წინა თვის მე-7 პოზიციის ნაცვლად არგენტინის ზურგსუკან — მეხუთეზე აღმოჩნდა.

პაატა კვანტალიანი

ვერ ამისრულე, რასაც დამპირდი

ტრამვირებული მოდებაძე გაქცევას აპირებს

ვუნგა ფილიალიანი ფოტო

ზაპოროჟიეს „მეტალურგში" სიტუაცია აირია. ირაკლი მოდებაძის კლუბი ფეხბურთელებს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს ვერ უსრულებს, რასაც დაზარალებულთა გაფიცვა მოჰყვა.

უკრაინის თავისუფალ პროფკავშირთა კონფედერაციის განცხადებით, ზაპოროჟიული კლუბი ჯერ კიდევ სექტემბერში გააფრთხილეს, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. მეტიც, „მეტალურგის" ხელმძღვანელობამ ამხედრებულ ფეხბურთელთა ჯგუფი მეორე ლიგაში გადაყვანით (სარეზერვო გუნდში) დააშინა. ამით ისინი ხელფასების შემცირებას გეგმავდნენ, მაგრამ მოთამაშეები შეგუებას არ აპირებენ.

გავიხსენოთ, რომ სარეზერვო გუნდში დანარჩენებთან ერთად მეტალურგებმა ჩვენებური ირაკლი მოდებაძეც გადაიყვანეს. მოდებაძე ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა „მეტალურგში", ისიც შეცვლაზე. დღეს ირაკლი ტრავმირებულია, კლუბი კი უარეს დღეში — ფინანსურ კრიზისში...

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ზაპოროჟიელები წინა სეზონში უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ, თუმცა ადგილი „ოლექსანდრიას" გაკოტრების შედეგად შეინარჩუნეს, ახლა გამოჩნდა, რომ არც „მეტალურგს" აქვს ფეხბურთელების შენახვის თავი. ასე რომ, დიდი შანსია, პირველი წრის დასრულებისთანავე კლუბი ფეხბურთელთა ჯგუფმა დატოვოს. მართალია, უკრაინელები ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელის გაშვებაზე არ დათანხმდებიან, მაგრამ კონტრაქტის დარღვევას აბა, ვინ შეეგუება?!

კახა შალამბერიძე

აი, აკადემია

რექტორი მილჩენკო და 20 სტუდენტი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა აკადემია გაიხსნა. ჯერ კიდევ ნოდარ ახალკაცის დროინდელ ჩანაფიქრს ოდენ გუშინ შეესხა ფრთები. აკადემიის გახსნას ქართული საფეხბურთო საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი, ფედერაციის თანამშრომლები, ვეტერანი ფეხბურთელები და მსაჯები დაესწრნენ.

აკადემია სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გახსნა. დამსწრეებს სიტყვით ვეტერანმა ფეხბურთელებმა და მსაჯებმაც მიმართეს.

მსაჯთა აკადემიის მიზანი, ცხადია, მსაჯების აღზრდაა. სწავლა ორწლიანია და ყოველ წელს აკადემია 20 ახალგაზრდა მსაჯს მიიღებს. რექტორი სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო იქნება.

ლუკა თალაკვაძე

რუსულ პრემიერლიგაში სასწაულს ახდენს ალექსანდრე რეხვიაშვილის „ტორპედო-მეტალურგი". ეს გუნდი კარგა ხანი ჩამოწერილი ჰყავდათ რუსებს, რაკიღა პრემიერლიგიდან გავარდნის რეალური კანდიდატი იყო. თუმც ვითარება შეიცვალა, ბოლო ტურებში მეტალურგებმა მიჯრით მოიგეს, თანაც ისეთი გუნდები დაამარცხეს, როგორიც „სატურნი" და „დინამოა" და რჩეულთა შორის დარჩენის რეალური შანსიც გაიჩინეს. ეს ყველაფერი მოსკოველებმა რეხვიაშვილის გარეშე მოახერხეს.

24-ე ტურში „ლოკომოტივთან" მარცხის შემდეგ ჩვენებური „ტორპედო მეტალურგის" შემადგენლობიდან გაქრა. ქართველი საყრდენის უთამაშებლობის მიზეზი აქამდე ბუნდოვანი იყო — კლუბის ხელმძღვანელები ოფიციალურად არაფერს ამბობდნენ, თუ არ ჩავთვლით მთავარი მწვრთნელის ორაზროვან ნათქვამს — ქართველს ფსიქოლოგიური ზეწოლა უნდა მოვუხსნათ და ვასვენებთო. დუმდა თავად ფეხბურთელიც. თუმც ალეკოს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ და მისი სამტურიანი უქმობის საიდუმლოც გაცხადდა

არ დავიბრალე და დუბლიორობა მაკადრეს

რეხვიაშვილი რუსებს სალაპარაკოს აღარ აძლევს

— „ტორპედო-მეტალურგის" ბოლოდროინდელი გამოცოცხლება ისეთივე მოულოდნელია, როგორც შენი უთამაშებლობა, არადა, ვიცით, რომ ტრავმა არ გაწუხებს...

— უცნაურია არა, გუნდის კაპიტანი დუბლებში რომ გადაისროლეს...

— უცნაურია, და, ბუნებრივია, ამას შესაბამისი მიზეზიც უნდა ჰქონდეს.

— მიზეზი აქვს, ოღონდ შესაბამისს ნამდვილად ვერ დავარქმევ... ყველაფერი „ლოკომოტივთან" მარცხის შემდეგ დაიწყო. ჩვენ კი არა, აგერ, „ინტერმა" წააგო რკინიგზელებთან. ამაში გასაკვირი არაფერი იყო, მაგრამ განტევების ვაცად მაქციეს. ჯოხი ჩემზე გადატეხეს, ამის გამო მატჩის განხილვისას შელაპარაკება მომივიდა გუნდის მეორე მწვრთნელ ალექსანდრ პოლუკაროვთან. ჩვეულებრივი კამათი იყო, მატჩის განხილვებს რომ ახლავს, მაგრამ ვერ მოვითმინე, მხოლოდ მე რომ მაბრალებდნენ წაგებას და ხმამაღლა შევეპასუხე პოლუკაროვს. ამას გამწვავება არ მოჰყოლია, თუმც ვფიქრობ, მაშინ გადაწყდა ჩემი სამტურიანი უქმობა.

— ითქვა, რეხვიაშვილი ფსიქოლოგიურად გადაღლილია და ვასვენებთო.

— შესაძლოა, ასეც იყოს. დიდი სტრესი გადავიტანე. ჯერ ერთი, გამუდმებით ბოლო ადგილზე ვიყავით და ძალიან რთულია ასეთ ვითარებაში თითოეული მატჩისთვის მობილიზება, მეორეც — ალბანეთი — საქართველოს სანაკრებო მატჩში ჩავარდნა მქონდა, ჩვეულად ვერ ვითამაშე და დათრგუნული დავბრუნდი კლუბში, სწორედ ამას მოჰყვა „ლოკომოტივთან" თამაში... შესაძლოა გადავიტვირთე კიდეც ფსიქოლოგიურად, მაგრამ ერთთვიანი დასვენება მეტისმეტია.

— არ გიცდია მწვრთნელებთან დალაპარაკება?

— არა, სურვილიც არ მაქვს მათ ახსნა-განმარტება მოვთხოვო. რაც რომ მოხდეს და გუნდი გავარდნას ვერ გადაურჩეს, ისევ მე დამბრალებენ, სიტუაცია დაძაბო. ამიტომ ველოდები სეზონის დამთავრებას და გასარკვევიც მერე გაირკვევა. მანამდე კი სასაყვედუროს არ ვუტოვებ მოსკოველებს, დუბლებშიც მორჩილად გადავედი და ვარჯიშებზეც თავდაუზოგავად ვშრომობ. სხვაგვარად არც შეიძლება, მე პროფესიონალი ვარ.

პაატა კვანტალიანი



საქართველოს უმაღლესი პირველი | 15 | ჩემპიონატი ლიგა ეტაპი

13 ტური

ბურთს დიდ ლოდინად ხდის

ზედიზედ ორი მატჩია ვიტელი ვლადიმერ გოჩაშვილი (№10) მოედანს უგოლოდ არ ტოვებს

რევანშისტები

დავით თავართქილაძე

„ვიტ ჯორჯია“ 24 საათით გალიდერდა და დღეს საღამოს ექვსი საათისთვის ან ამოეწურება განცხრომის ვადა, ან არა — ყველაფერს ქუთაისურ-დინამოური დერბი გადაწყვეტს.

გუშინ კი ვიტელებმა „დილაზე“ ჯავრი იყარეს მეორე ტურში გორში 0:3 წაგების გამო. „შევარდენზე“ ერთი გუნდი დაფრინავდა და მეორე დაბობღავდაო, ასეთი რამ არ მომხდარა, უბრალოდ, მასპინძლებმა მეტოქეზე უკეთ ითამაშეს და გაიმარჯვეს.

ოთარ მარცვალაძის ნაკუთხურალი ბურთი ნოზაძემ „დილას“ კარის შორეულ ძელთან მიიღო და რამაზ სოღალაშვილს ახლო-მაღალ კუთხეში გაუტანა.

მატჩის სიუჟეტი ამის მერე დიდად არ შეცვლილა, უფრო მეტს და მწვავედ „ვიტ ჯორჯია“ უტევდა. მაგრამ ვიტელთა მცველების შეცდომა და ანგარიში გათანაბრდა — ზვიად ლაბაძემ ალექსანდრე ინწკირველს გადასცა ბურთი, ვინც თავით მეკარისთვის აპირებდა პასს, მაგრამ ბექა ჩიტაიამ ყველაფერი წაიკითხა და გაუჩერებლად გაგზავნა ბურთი მირზა მერლანის კარში.

ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიას“ მეორე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მარცვალაძის ჩაწოდებულზე ვლადიმერ გოჩაშვილმა ახლოდან დარტყმა დააყოვნა და ხიფათიც გაუვნებელდა.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ უფრო მიზანდასახული და აგრესიული იყო. ზურაბ ბერიძის ბიჭებმა გორელები საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს, „დილას“ შეტევაში არაფერი გამოსდიოდა და ოდენ თავდაცვით დაკავდა. ხელახლა დაწინაურების ჩინებული შანსი ვიტელებმა მაშინ დაკარგეს, როცა ცაცია გიორგი დეკანოსიძემ „დილას“ კარიდან 5-6 მეტრში ბურთი დაუბრკოლებლად მიიღო, მაგრამ მარჯვენათი მოინდომა გატანა და უხეიროდ დარტყმულს სოღოლაშვილი იოლად დაეპატრონა.

თუმც „ვიტ ჯორჯია“ არ დაცხრა — მარცვალაძის ფლანგური რეიდის შემდეგ გოჩაშვილმა გორელთა მცველებთან ბრძოლაში იმარჯვა და 2:1

ზურაბ ხორგუაშვილმა მინდორზე ალეკო კაიდარაშვილი შეუშვა — ამ ფორვარდს ხომ ბევრი ფასეული გოლი გაუტანია, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა. თუმც მანამდე ვიტელთა მესამე გოლი იყო — სტუმრებმა მასპინძელთა დამცავი ეშელონები ცენტრიდან გაარღვიეს, დავით დიღმელაშვილმა მარჯვნივ რევაზ გოცირიძეს უპასა, რომელმაც სოღოლაშვილს შანსი არ დაუტოვა.

ზაზა ლაცაბიძემ კი, პირისპირ რომ აღმოჩნდა მერლანთან, თვითონ არ ინება გატანა და ბურთი კაიდარაშვილს დაუგორა, მაგრამ ალეკომ 3-4 მეტრიდან ხარიხას გაარტყა.

„დილას“ ერთხელაც მიეცა ანგარიშის შემცირების შანსი, თუმც მიზანმა ჯობაძესაც უმტყუნა — მარცხენა, არცთუ მახვილი კუთხიდან „ვიტ ჯორჯიას“ კარის შორეულ ძელს ააცილა ბურთი.

ზურაბ ხორგუაშვილი: დაცვაში რევაზ ხაჭაპურიძე გვაკლდა, რომელსაც თირკმელები აწუხებს. მისი არყოფნის გამო დაცვაში გადაწყობა მოგვიწია, მაგრამ დავალებას ჩემებმა თავი ვერ გაართვეს. საერთოდ, აქცენტი ფლანგურ შეტევებზე გვაქვს გადატანილი, მაგრამ ამჯერად ესეც ვერ შევძელით, რაც მეტოქის დამსახურებაცაა. „დილას“ არ აქვს გრძელი სკამი და ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობები უპირველესად ამის ბრალია.

ზურაბ ბერიძე: „დილასთან“ 0:3 გვქონდა წაგებული და დღეს რევანშისთვის გავედით მოედანზე. დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში. ჩვენს მოტივაციას სატურნირო მდგომარეობაც აძლიერებდა. ამ გამარჯვებით მიზანსწრაფვაც მოგვემატა — შეგვიძლია ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ.

ვიტ ჯორჯია 3:1 დილა

10 ნოზაძე (16), 1:1 ბ. ჩიტაია (40), 2:1 გ. გოჩაშვილი (60), 3:1 გოცირიძე (64)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, ინწკირველი, ზ. ლაბაძე, იმედაშვილი, გველესიანი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, დეკანოსიძე (ფ. დოლიძე 72), ბ. გოჩაშვილი, მარცვალაძე (დათუნაიშვილი 75), გოცირიძე (ფალია 66)
სათადარიგო: ბურაძე, ლ. ბერეგაშვილი, ფეიქრიშვილი, ბერეგიძე
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

დილა: სოღოლაშვილი, ბალაშვილი, ლობიძე, ზ. ლაცაბიძე, ოლგასაშვილი, ბ. ჩიტაია (ა. კაიდარაშვილი 61), ჯობაძე, ძოძუაშვილი (ბ. კაიდარაშვილი 88), რაზმაძე (ხანიშვილი), ლ. გოჩაშვილი, ბ. ჩიტაია
სათადარიგო: თ. ილურიძე, ა. ლაბაძე, მარდაშვილი, მასურაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: ა. კაიდარაშვილი (81)

მსაჯები: მ. მაისურაძე, მ. ელიავაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ბარქაია, **დირექტორი:** რ. ლორთქიფანიძე

ჯარიმა: 9-4, **კუთხური:** 3-1, **კარისკენ დარტყმა:** 6-4, **კარში დარტყმა:** 6-3, **თამაშგარე:** 4-1

ფირისპირ ფანიაშვილმა იმარჯვა

გორა ჯანაშია ფოთიდან

„ტორპედოსთან“ შთამბეჭდავი მოგების შემდეგ „ბათუმი“ ამაღლებული განწყობით ეწვია ფოთს და კიდევ ერთი კრიზისში მყოფი გუნდი დიდი ანგარიშით დაამარცხა. „კოლხეთს“ აგერ უკვე მეშვიდე მატჩია, არ მოუგია და გუშინაც ვერ მიაღწია სასურველ შედეგს. დისკვალიფიცირებულთა და ტრავმირებულთა სახით ხუთი ფეხბურთელის არყოფნამ მასპინძელთა თამაშს, ბუნებრივია, თავისი დაღი დაასვა. ამიტომაც იყო, ისედაც ჩინებულ ფორმაში მყოფმა ბათუმელებმა იოლად რომ იმარჯვეს და ექვსეულისაკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგეს.

ზღვისპირული დერბი კოლხთა შეტევებით დაიწყო და მესამე წუთზე მარგალიტაძემ თავით სცადა ბურთისთვის მიმართულების შეცვლა. მოახერხა კიდეც, მაგრამ ქვაჩახია არ შემდრკალა.

ხუთიოდ წუთში „ბათუმმა“ სწრაფი იერიში განახორციელა და ქაცარავა ხელსაყრელ პოზიციაში დარჩა. მან სისწრაფეში მეტოქე ჩამოიცილა და მარცხენა ფეხზე გადატანილი ბურთი შორეულ კუთხეში დაარტყა. ივარგა ბათიაშვილმა — დარტყმულს დროული ნახტომი შეაგება.

ამ ეპიზოდიდან დიდი ხანი არ გასულა, საეჭვო ეპიზოდი რომ შეიქმნა სტუმართა კართან. მარგალიტაძემ საჯარიმოში ორ მცველს შუა გაძრომა მოინდომა, მაგრამ ერთ-ერთის ფეხს წამოედო და წაიქცა. ფანიაშვილი იქვე იდგა და დუმილით შეხვდა ამ ფაქტს.

„ბათუმის“ ტაქტიკა სწრაფ კონტრიერიშებზე იყო აგებული, რასაც მოედნის ცენტრში საკმაოდ მწყობრი თამაში ენაცვლებოდა. იქ ვანო მახარაძე ჩვეული მონდომებით ირჯებოდა და ირაკლი შენგელიასთან ერთად ბევრ საფიქრალს უჩენდა მეტოქის შუა ხაზს. სწორედ ამ დუეტმა შვა პირველი გოლი. მახარაძემ ბოლომდე იბრძოლა, წაქცეულმა მაინც შეძლო შენგელიას მისამართით პასის მიცემა. ირაკლიმ ბურთი მიიღო, მარცხნიდან საჯარიმოში შეიჭრა, ოდნავ ცენტრში გაიწია და შორეულ კუთხეში გონივრული დარტყმით ბათიაშვილი ადგილზე გააშეშა.

„კოლხეთი“ ბურთს ხშირად კი ფლობდა, მაგრამ ქაოსურად და უსისტემოდ ცდილობდა მეტოქის დაცვის გარღვევას. სტუმართაგან საგოლედ დაგეშილი კაკალაძეც აქტიურობდა და 35-ე წუთზე კინაღამ შედეგიც მოიმკო, მან მახვილი კუთხიდან სცადა გატანა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

ხუთიოდ წუთში კოლხებმა მწვავედ უპასუხეს. თაყაძის ფლანგურ პასზე ქვაჩახიამ წამით კი დაასწრო დასარტყმელად შემართულ ქობულაძეს, მაგრამ მისი მოგერიებული ბურთი საჯარიმოს მისადგომებიდან ხურცილავამ კვლავ კარისკენ გაგზავნა. „ბათუმი“ გოლისგან ხარიხამ იხსნა.

ტაიმის დასრულებას წამები უკლდა, იმავ შენგელიამ ლამაზად რომ ჩაუკიდა ბურთი ბათიაშვილს ზურგს უკან. აქაც საქმეში ხარიხა ჩაერია.

მეორე ტაიმში მასპინძლებს თამაშის გადარჩენისთვის მართებდათ ბრძოლა, მაგრამ ძალა და უნარი არ ეყოთ. „ბათუმმა“ კი კონტრშეტევებში გაილაღა, შეტევაში ჩართული მეტოქე დაიჭირა და ორჯერ გოლსაც გამორჩა. პირველ ეპიზოდში კაკალაძემ ბაღათურია წამოიკიდა და უეჭველი პენალტი დანიშნა ფანიაშვილმა. დაზარალებულმა ზუსტად დაარტყა. ბათიაშვილმა კუთხეც გამოიცნო, ბურთს ხელიც გაჰკრა, მაგრამ ძალა არ ეყო.

გატეხილ მეტოქეს იმავ კაკალაძემ კიდევ ერთხელ მას შემდეგ გაუტანა, როცა დარჩიძის ჩინებული პასი მიიღო, ბურთიანად დაიძრა, გზად მეკარეც იოლად ჩამოიცილა და ცარიელი კარშიც მშვიდად შეაგორა ბურთი.

ნამატჩევს უკიდურესად აღშფოთებული ჩანდნენ კოლხები. პოლიციამ არბიტრი ფანიაშვილი გალახვას გადაარჩინა და სამშვიდობოს განარიდა. „კოლხეთის“ მესვეურები მსაჯებთან ერთად ვიდეოფირის ნახვას ითხოვდნენ, მაგრამ მათგან უარი მიიღეს. ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცა ფირი გვენახა და მისი ნახვის შემდეგ საეჭვოც არაფერი დაგვრჩენია ზემოთნახსენები საპენალტო სიტუაციისგან. აშკარად ჩანდა, მარგალიტაძესთან ბრძოლაში კობიძემ ოდნავ რომ დააგვიანა და ბურთის ნაცვლად მეტოქის ფეხს წამოედო.

ჰოდა, რა გასაკვირია და ისედაც შეჭირვებულმა კოლხებმა მარცხის უმთავრეს მიზეზად ეს არდანიშნული პენალტი მიიჩნიეს. ვერ გეტყვით, მეათე წუთზე მასპინძლები რომ დაწინაურებულიყვნენ, მატჩი როგორ განვითარდებოდა. თუმც, უკვე ვთქვით, ვიდეოფირზე კარგად ჩანდა ფანიაშვილის სწორი პოზიცია რომ ეკავა და კარგადაც ხედავდა ამ შეჯახებას.

კოლხეთი 0:3 ბათუმი

0:1 შენგელია (23), 0:2, 0:3 კაკალაძე (63პ, 78)

კოლხეთი: ბათიაშვილი, ხურცილავა, შალამბერიძე, შ. ლონლაძე, ბაღათურია, დ. ნარსია (ხაფომია 59), მ. ქობულაძე, სგანაძე, თაყაძე, მარგალიტაძე, გურგენაძე
სათადარიგო: ჩემია; კრასოვსკი
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

ბათუმი: ქვაჩახია, კობიძე, გუშარაშვილი (დუმბაძე 63), ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, მახარაძე, მანჩხავა, ი. შენგელია (ბესიკ თედორაძე 69), ქაცარავა, სირბილაძე (დარჩიძე 73), კაკალაძე
სათადარიგო: ი. ბალაძე; ბეჭვნიძე, რომანაძე, ცანავა
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: შენგელია (36)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 10-16; **კუთხური:** 4-6; **კარისკენ დარტყმა:** 3-2; **კარში დარტყმა:** 3-8; **თამაშგარე:** 1-1

ვიტ ჯორჯია	13	8	4	1	24:7	28
დინამო	12	8	2	2	29:5	26
დილა	13	7	2	4	17:11	23
სიონი	12	6	5	1	15:7	23
ბათუმი	13	5	1	7	15:14	16
მცხეთა	12	5	1	6	15:24	16
ლოკომოტივი	11	4	3	4	14:14	15
თბილისი	11	4	2	5	14:15	14
ტორპედო	12	4	2	6	9:14	14
კოლხეთი	13	3	3	7	9:17	12
სპარტაკი	12	2	3	7	7:26	9
მერცხალი	12	2	2	8	12:26	8

ქუთაისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ტორპედო

ტორპედო — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

შუშაკი ვარციხეში გამაგრდა

შენ ზევითა ხარ, მე ქვევით, მაინც აგიმღვრევ წყალსაო

დღეს ქართული კლასიკოა — „ტორპედო" — „დინამო". ბოლო დროს ქართული ჩემპიონატი ამათ საჯილდაოდ ქცეულა, თუმც ქუთაისელთა საამსეზონო ჩავარდნამ გააფერმკრთალა დღევანდელი შეხვედრის ინტრიგა. მიუხედავად ამისა, დღეს მოგების ისეთივე შანსი აქვს „ტორპედოს", როგორც მის ფავორიტ მეტოქეს. ქუთაისელები შინაურ სარბიელზე თამაშობენ და ეს დამატებითი ტვირთია „ტორპედოზე" მოხვედრილი ნებისმიერი გუნდისთვის.

მასპინძელთა ბრაზილიელ მწვრთნელთა დუეტმა საამმატჩო შეკრებაზე გუშინ გადაიყვანა გუნდი სალორიის ბაზაზე. თადარიგი დაიჭირა ხორვატმა ივო შუშაკმაც, ერთი დღით ადრე ეწვია ქუთაისს და ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში დასცა ბანაკი. დინამოელებმა გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშეს. შუშაკმა მხოლოდ 16 ფეხბურთელი იწვია იმერეთში. „დინამო" შეთხელებულია — დისკვალიფიცირებულ ხიზანეიშვილის მსგავსად ბობოხიძე, კარლოსი, ექონია და ანჩაბაძე დარჩნენ თბილისში. ბობოხიძეს სიცხე აქვს, კარლოსი და ექონია ტრავმირებულნი არიან, ანჩაბაძის სათამაშო კონდიციებით კი თავად შუშაკია უკმაყოფილო და მოუმზადებელ ნახევარმცველს სავარჯიშო ინდივიდუალური პროგრამა დაუტოვა დიღმის ბაზაზე.

შუშაკის „დინამო" ერთი შეხედვით ფავორიტია, მაგრამ ხორვატი ფრთხილობს — ამ გუნდების დაპირისპირება კლასიკურად მონათლეს საქართველოში. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელ ადგილზეა. ვიცი, ქუთაისელები უშელავათო ომს გაგვიჩაღებენ — გვითხრა გუშინ ხორვატმა. მატჩის წინ ფეხბურთელებსაც გავესაუბრეთ, ქვემოთ მათთან ინტერვიუებს გთავაზობთ



როგორც არასდროს, როგორც არავისთან

რატი ალექსიძე:

— „ტორპედოსთან" სტუმრად თამაში ყოველთვის გვიჭირს, მაგრამ ქუთაისში მოსაგებად ჩამოვედით და ჩვენ სიტყვას ვიტყვით. თუ ბოლო თამაშებს მივიღებთ მხედველობაში, „ტორპედო" საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძვის.

— რახან „ტორპედო" „დინამოს" ეთამაშება, სულ სხვა გუნდად წარმოგვიდგება?

— ქუთაისელები როგორც არასდროს და როგორც არავისთან, ისე მოინდომებენ — ისინი ხომ „დინამოს" ეთამაშებიან, მაგრამ გადაჭრით ვამბობ — ჩვენ უნდა მოვიგოთ.

— დინამოელებს პრემიები რომ შეგიმცირეს, ეს ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის?

— პრემიაზე ალარც ვფიქრობთ — ის მგონი 92 ლარია. ერთი სიტყვით, ჩვენ პრემიის გამო არ ვთამაშობთ.

— ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ალბათ, შენც აპირებ „დინამოდან" წასვლას...

— შესაძლოა, დეკემბრამდეც წავიდე, თუმც ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. რაც მთავარია, წელი ბოლომდე მოვირჩინე, არადა, სრულ დატვირთვებს ვერ ვუძლებდი.

— „ჩელსიდან" დაბრუნებულმა საქართველოში თითქმის ერთი წელიწადი დაჰყევი — რა მოგცა ამან?

— არაფერი. ხშირად კი მიწევდა თამაში, მაგრამ წელის ტრავმამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჯერ კიდევ წინა სეზონის დამთავრებისთანავე ვაპირებდი უცხოეთში წასვლას, მაგრამ ამ ტრავმის გამო თვენახევარი ლოგინად ჩავარდი, ყველაფერი ამერ-დამერია.

— „დინამოს" ძირითადის ახლანდელი შემადგენლობიდან ყველა აპირებს გუნდის დატოვებას?

— როგორც ვიცი, უმეტესობა წავა და მათ ადგილს ახალგაზრდები დაიკავებენ.

— მერე ახალგაზრდებს არ გაუჭირდებათ ჩემპიონობის შენარჩუნება?

— „დინამოში" სოლიდური ცვლა მოდის და ამ ახალგაზრდების დიდი იმედიც მაქვს — სანდრო იაშვილი, ირაკლი სამხარაძე... მათ უნდა შეძლონ ჩემპიონობის შენარჩუნება, მაგრამ თუ ეს არ მოხდება, მომდევნო სეზონში აუცილებლად უნდა მოახერხონ ჩემპიონობა.

ვიტალი დარასელია:

— „ტორპედოსთან" მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ, გუნდში ძალიან კარგი განწყობაა. პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მეც უნდა წავიდე უცხოეთში და ძალიან მინდა, რომ „დინამო" პირველ ადგილზე დავტოვო.

დავით თაგართქილაძე

პირველ წრეში ვახტანგ ხვადაგიანის (მარცხნივ) „ტორპედოს" ალეკო ამისულაშვილმაც გაუტანა

ჩვენ ერთმანეთს არც ახლა დავინდობთ

ვახტანგ ხვადაგიანი:

— საქართველოს ჩემპიონატში „ტორპედო" — „დინამოს" მატჩები ყოველთვის ყველაზე საინტერესო იყო. ახლა რისი თქმა შეგიძლია მოახლოებულ თამაშზე?

— განსაკუთრებული არაფერი ხდება. ჩვეულებრივად ვემზადებით, ბოლოს ზედიზედ ოთხი თამაში წავაგეთ და ამ ანტირეკორდის გაუმჯობესება საშინელება იქნება. „დინამოსთან" თამაშს ყველა იმედით ვხვდებით. რაღაც უნდა შევცვალოთ, თორემ ექვსეულს თანდათან ვშორდებით. ასე არაფერი გამოვა.

— „დინამო" და „ტორპედო" დღეს სხვადასხვა განწყობაზე არიან. ეს ფაქტი მატჩის ხასიათზე ძალიან იმოქმედებს?

— არა მგონია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. შანსებს მაინც თანაბრად გავანაწილებ. თან ჩვენ შინ ვთამაშობთ და ეს ცოტას ნაღდად არ ნიშნავს. გასაგებია, რომ „ტორპედო" ახლა მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ეს „დინამოს" შანსს ოდნავ თუ გაზრდის. ქუთაისში თამაში ნებისმიერი გუნდისთვის ძნელია.

— ფრე დაგაკმაყოფილებთ?

— არავითარ შემთხვევაში. ფრე დიდად ვერ შეგვეშველება, ამიტომ მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ. თუ მოვიგეთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ მიზანს მივაღწიეთ. სხვა შედეგი არ მაინტერესებს.

— ახალ მწვრთნელებზე რას იტყვი?

— ოთხი-ხუთი დღეა, ბრაზილიელები „ტორპედოში" არიან და, როგორც შევატყვე, საქმის მცოდნე ხალხია. ჩემი აზრით, ასეთი დონის სპეციალისტები ქუთაისში კარგა ხანია, არ ყოფილან. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

— როგორ ფეხბურთის ანიჭებენ უპირატესობას?

— უფრო გუნდური და შემტევი ფეხბურთი უყვართ. მართალია, დებიუტი ცუდი გამოუვიდათ, მაგრამ საქმეში გასარკვევად ხომ დრო სჭირდებათ.

— მთავარი მწვრთნელი ფეხბურთელების შესაძლებლობებში ბოლომდე ჯერაც ვერ გაერკვა?

— მეტ-ნაკლებად გაგვიცნო. მგონი, ახლა იცის, რა შეგვიძლია და რა არა.

— ამ სეზონში „ტორპედოს" სუსტ თამაშს რას დააბრალებ?

— ფაქტია, რომ ახლა გუნდში კრიზისია და შედეგიც უკვე გამოჩნდა. ჩემი აზრით, ყველაფერი იმის ბრალია, რომ შემსრულებლები არ გვყავს. გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა, ახლები მოვიდნენ და ამან უმტკივნეულოდ ვერ ჩაიარა. ახლა დალაგება გვჭირდება, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, „ტორპედომ" სახე დაკარგა. როცა გუნდში შემსრულებლები იყვნენ, მაშინ ასეთი პრობლემები არ გვაწუხებდა.

— ახლა მერვე ადგილზე ხართ. ექვსეულში მოხვედრა გაგიჭირდებათ?

— დღევანდელი გადასახედიდან ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უნდა შევძლოთ. „ტორპედოს" ადგილი იქ არ არის, სადაც ახლაა.

— და ისევ „ტორპედო" — „დინამოს" დავუბრუნდეთ...

— ამ გუნდების მატჩი სულ გამორჩეული იყო. არ მახსოვს, ოდესმე „ტორპედოს" და „დინამოს" ერთმანეთი დაენდოთ. ვფიქრობ, ახლაც ასე იქნება. ძალიან რთული და დაძაბული თამაში გველის. გულშემატკივარსაც მეტი არ უნდა. ახლა მთავარია, „დინამოს" წარმატებით ვეთამაშოთ.

ძახა შალამბერიძე

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.30	002	ბოლტონი-ბირმინგემი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
16.30	003	ლივერპული-ლიდსი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	004	ლივერპული-ლიდსი 0:1	2,05	3,2	2,45			
19.00	005	ასტონ ვილა-ევერტონი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
19.00	006	ჩელსი-სიტი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
19.00	007	მანჩესტერი-ფულემი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	008	მანჩესტერი-ფულემი 0:1	1,65	3,3	3,3			
19.00	009	ნიუკასლი-პორტსმუთი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.00	010	საუთჰემპტონი-ბლექბერნი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
19.00	011	ვულვერჰემპტონი-ლესტერი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57

26 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	012	ჩარლტონი-არსენალი	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
20.05	013	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76

ინგლისი. I დივიზიონი. XVI ტური

24 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	026	შეფილდი-რედინგი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	027	ბრედფორდი-ნოტინგემი	2,9	3,3	2,25	1,54	1,26	1,33
19.00	028	ბარნლი-მილუოლი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	029	დერბი-ქოვენთრი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	030	ჯილინგემი-კრისტალ პალასი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	031	ნორვიჩი-სანდერლენდი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	032	პრესტონი-იფსვიჩი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	033	როტერჰემი-ვესტ ბრომვიჩი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
19.00	034	სტოკი-ქრიუ	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
19.00	035	უოლსოლი-უიგანი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
19.00	036	უიმბლდონი-უოტფორდი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
21.35	037	კარდიფი-ვესტ ჰემი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4

ინგლისი. II დივიზიონი. XVI ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	056	ბარნსლი-გრიმსბი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
19.00	057	ბრაიტონი-სტოკპორტი	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
	058	ბრაიტონი-სტოკპორტი 0:1	2,0	3,2	3,5			
19.00	059	ბრისტოლი-უენსდი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
19.00	060	კოლჩესტერი-ჩესტერფილდი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
19.00	061	ჰარტლპული-უიკომბი	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14
19.00	062	ლუტონი-პიტერბრო	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
19.00	063	ნოტსი-ბრენტფორდი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00	064	ოლდემი-ბორნმუთი	2,2	3,3	2,9	1,32	1,25	1,54
19.00	065	პლიმუთი-ბლეკპული	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
19.00	066	ქუინზ პარკი-ტრანმერი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
19.00	067	რაშდენი-რექსემი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
19.00	068	სუინდონი-პორტ ვეილი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6

ინგლისი. III დივიზიონი. XVI ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00	086	ჰალი-ლინკოლნი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
19.00	087	ბოსტონი-ტორკი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00	088	კემბრიჯი-იოვილი	2,45	3,1	2,6	1,36	1,26	1,41
19.00	089	დარლინგტონი-ბერი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
19.00	090	ჰადერსფილდი-კარლაილი	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
	091	ჰადერსფილდი-კარლაილი 0:1	1,9	3,4	2,6			
19.00	092	კიდერმინსტერი-დონკასტერი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
19.00	093	ლეიტონი-ნორთჰემპტონი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
19.00	094	მაკლსფილდი-საუთენდი	1,95	3,3	3,4	1,22	1,23	1,67
19.00	095	მენსფილდი-ჩელტენემი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
19.00	096	ოქსფორდი-როვერსი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
19.00	097	როჩდეილი-სუონსი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.00	098	სკანთორპი-იორკი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69

შოტლანდია. პრემიერლიგა. X ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.30	101	ლივინგსტონი-რეინჯერსი	10,0	5,0	1,25	3,33	1,11	1
19.00	102	სელტიკი-აბერდინი	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	103	სელტიკი-აბერდინი 0:1	1,3	4,0	5,0			
19.00	104	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	105	მოზერუელი-დანფერმლაინი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
19.00	106	პარტიკი-ჰართსი	3,2	3,3	2,1	1,62	1,26	1,28

26 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	107	დანდი იუნაიტედი-დანდი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38

შოტლანდია. I დივიზიონი. X ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	109	ფოლკირკი-ეარი	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14
19.00	110	რეითი-ბრეჩინი	1,65	3,6	4,4	1,13	1,2	1,98
19.00	111	როსი-ქუინი	2,35	3,4	2,5	1,38	1,21	1,44
19.00	112	სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი	1,75	3,5	3,8	1,16	1,19	1,82

შოტლანდია. II დივიზიონი. X ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	115	არბროთი-დამბარტონი	2,1	3,5	2,8	1,31	1,19	1,55
19.00	116	ისტ ფაიფი-ფორფარი	1,85	3,6	3,2	1,22	1,17	1,69
19.00	117	ჰამილტონი-ბერიკი	2,25	3,4	2,6	1,35	1,2	1,47
19.00	118	მორტონი-სტენჰაუზმური	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09

შოტლანდია. III დივიზიონი. X ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	121	ალბიონი-კოუდენბითი	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
19.00	122	ელგინი-ქუინზ პარკი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
19.00	123	გრეტნა-პიტერჰედი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
19.00	124	მონტროუზი-ისტ სტირლინგი	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
19.00	125	სტირლინგი-სტრანრარი	1,85	3,6	3,2	1,22	1,17	1,69

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტური

25 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.30	128	ჰანოვერი-მიუნხენი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
18.30	129	აინტრახტი-კიოლნი	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
18.30	130	ფრაიბურგი-ვერდერი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
18.30	131	შტუტგარტი-ვოლფსბურგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
18.30	132	ჰანზა-ჰერტა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.30	133	ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	134	ბაიერნი-კაისერსლაუტერნი 0:1	1,9	3,2	2,7			
18.30	135	ჰამბურგი-შალკე	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57

26 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	136	ბოხუმი-დორტმუნდი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
20.30	137	ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	138	ლევერკუსენი-მიონხენგლადბახი	0:1	1,9	3,2	2,7		

გერმანია. II ბუნდესლიგა. X ტური

24 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	141	ნიურნბერგი-რეგენსბურგი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
22.00	142	ბურგჰაუზენი-აუე	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
22.00	143	ობერჰაუზენი-ლიუბეკი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52

26 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	144	ოსნაბრიუკი-უნტერჰახინგი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
18.00	145	კარლსრუე-ფიურტი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
18.00	146	ალენი-დუისბურგი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
18.00	147	ალემანია-ტრირი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
18.00	148	უნიონი-არმინია	3,1	3,2	2,15	1,57	1,26	1,28

27 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.15	149	მაინცი-კოტბუსი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIII ტური

24 ოქტომბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	155	ესენი-ქემნიცი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
22.30	156	კილი-პადერბორნი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	157	ზტ.პაული-კიოლნი(მ)	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
23.00	158	ვატენშაიდი-ვერდერი(მ)	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
		25 ოქტომბერი						
17.00	159	ბრაუნშვაიგი-ნოიმიუნსტერი	1,2	4,0	8,0	1	1,04	2,66
17.00	160	მიუნსტერი-ურდინგენი	2,4	3,3	2,45	1,38	1,21	1,4
17.00	161	ვუპერტალი-დორტმუნდი(მ)	2,05	3,4	3,0	1,27	1,21	1,59
17.00	162	დინამო-ლაიპციგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
		26 ოქტომბერი						
17.00	163	ჰამბურგი(მ)-შალკე(მ)	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIII ტური						
		24 ოქტომბერი						
22.00	170	შტუტგარტი(მ)-საარბრიუკენი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
22.00	171	ჰოფენჰაიმი-ბაიერნი(მ)	2,7	3,3	2,25	1,48	1,22	1,33
		25 ოქტომბერი						
17.30	172	აუგსბურგი-ზიგენი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
17.30	173	ელვერსბერგი-კიერსი	1,75	3,4	3,8	1,15	1,19	1,79
17.30	174	ფულენდორფი-აალენი	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
17.30	175	ფოიხტი-ოფენბახი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
17.30	176	ეიბორნი-კაისერსლაუტერნი(მ)	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
17.30	177	ვეენი-ერფურტი	1,7	3,5	4,0	1,14	1,19	1,86
		იტალია. სერია A. VII ტური						
		25 ოქტომბერი						
21.00	181	სიენა-ლეჩე	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.30	182	ემპოლი-კიეგო	2,8	3,0	2,45	1,44	1,3	1,34
		26 ოქტომბერი						
23.30	183	ინტერი-რომა	2,3	3,0	3,1	1,3	1,32	1,52
18.00	184	იუვენტუსი-ბრეშა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	185	იუვენტუსი-ბრეშა 0:1	1,7	3,1	3,3			
18.00	186	ლაციო-ბოლონია	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
18.00	187	პარმა-მოდენა	1,55	3,4	6,5	1,06	1,25	2,23
18.00	188	პერუჯა-უდინეზე	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
18.00	189	რეჯინა-ანკონა	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
18.00	190	სამპდორია-მილანი	3,8	3,1	1,95	1,7	1,28	1,19
		იტალია. სერია B. XI ტური						
		25 ოქტომბერი						
23.30	193	ასკოლი-პალერმო	2,6	2,6	2,9	1,3	1,37	1,37
23.30	194	ატალანტა-მესინა	1,5	3,2	8,0	1,02	1,26	2,28
23.30	195	ბარი-ფიორენტინა	1,95	2,7	4,4	1,13	1,35	1,67
23.30	196	კატანია-პიაჩენცა	2,35	2,6	3,3	1,23	1,37	1,45
23.30	197	ლივორნო-კომო	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91
23.30	198	ნაპოლი-ტორინო	2,6	2,7	2,8	1,32	1,34	1,37
23.30	199	პესკარა-სალერნიტანა	1,8	2,7	5,0	1,08	1,32	1,75
23.30	200	ტერნანა-აველინო	1,45	3,5	7,5	1,02	1,21	2,38
23.30	201	ტრევიზო-ვენეცია	1,85	2,7	4,8	1,09	1,33	1,72
23.30	202	ტრიესტინა-ალბინოლეფე	1,9	2,7	4,6	1,11	1,34	1,7
23.30	203	ვერონა-ჯენოა	2,2	2,6	3,6	1,19	1,36	1,5
23.30	204	ვიჩენცა-კალიარი	2,7	2,6	2,8	1,32	1,37	1,34
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXIX ტური						
		23 ოქტომბერი						
23.45	476	დერი-შელბურნი	4,0	3,3	1,75	1,8	1,21	1,14
		24 ოქტომბერი						
23.30	477	უოტერფორდი-დროგედა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
23.45	478	კორკი-უკდ	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
23.00	479	შემროკი-ბოჰემიანი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
		ბრაზილია. სერია A. XXXIX ტური						
		23 ოქტომბერი						
02.30	604	ვასკუ და გამა-ფორტალეზა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
03.30	605	ატლეტიკო მნ-პარანა	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
03.30	606	ჟუვენტუდი-ერემიო	1,8	3,4	3,5	1,17	1,18	1,72
03.30	607	სან პაულუ-გუარანი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
03.30	608	პაისანდუ-კრიციუმა	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		მექსიკა. აპერტურა. XIV ტური						
		23 ოქტომბერი						
01.00	674	ატლანტე-ირაპუატო	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
01.00	675	ხაგუარესი-სანტოსი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
		ირლანდია. თასი. ფინალი.						
		26 ოქტომბერი						
19.00	709	სტ.პატრიკსი-ლონგფორდი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		სლოვენია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები.						
		23 ოქტომბერი						
23.10	711	პუბლიკუმი-მარიბორი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		სამხრეთ ამერიკის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები.						
		23 ოქტომბერი						
05.10	734	რივერ პლეიტი-ლიბერტადი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
		ჰოკეი. გერმანია.						
		23 ოქტომბერი						
22.30	1061	აუგსბურგი-აისბარენი	2,25	4,2	2,25	1,46	1,12	1,46
		24 ოქტომბერი						
22.30	1062	კასელი-დიუსელდორფი	1,9	4,4	2,6	1,32	1,09	1,63
22.30	1063	ფრანკფურტი-მანჰაიმი	2,1	4,2	2,4	1,4	1,12	1,52
23.00	1064	კრეფელდი-ნიურნბერგი	2,25	4,2	2,25	1,46	1,12	1,46
23.00	1065	ფრაიბურგი-ჰამბურგი	3,1	4,6	1,7	1,85	1,09	1,24
		ჰოკეი. შვედეთი						
		23 ოქტომბერი						
22.00	1097	მოდო-ტიმრე	1,8	4,2	2,9	1,26	1,11	1,71
22.00	1098	ბრიუნესი-ლულეო	1,9	4,4	2,6	1,32	1,09	1,63
22.00	1099	ჰვ 71-ფრიოლუნდა	2,0	4,2	2,5	1,35	1,11	1,56
22.00	1100	მალმიო-ლინჩიოპინგი	1,85	4,4	2,7	1,3	1,09	1,67
22.00	1101	ლეკსანდი-იურგორდენი	2,2	4,2	2,3	1,44	1,12	1,48
22.00	1102	ფერიესტადი-სიოდერტელიე	1,2	6,5	7,0	1,01	1,02	3,37
		ჰოკეი. ფინეთი						
		23 ოქტომბერი						
20.30	1116	ესპოო-პელიკანსი	1,45	4,8	4,4	1,11	1,09	2,29
20.30	1117	ილვესი-ჰაამეენლინა	2,0	4,2	2,5	1,35	1,11	1,56
20.30	1118	იუვესკიულე-სეიპა	1,65	4,6	3,3	1,21	1,1	1,92
20.30	1119	ლუკო-კერპეტი	2,1	4,6	2,3	1,44	1,09	1,53
20.30	1120	ტურკუ-ესეტი	1,45	4,8	4,4	1,11	1,09	2,29
		24 ოქტომბერი						
20.30	1121	იოკერიტი-ჰელსინკი	1,95	4,4	2,5	1,35	1,09	1,59
20.30	1122	ტაპარა-ილვესი	2,4	4,4	2,1	1,55	1,12	1,42
		ჰოკეი. NHL.						
		23 ოქტომბერი						
04.00	1143	კოლამბუსი-ტამპა ბეი	2,35	3,5	2,35	1,4	1,17	1,4
04.30	1144	ბოსტონი-კაროლინა	1,75	3,8	3,3	1,19	1,14	1,76
04.30	1145	მონრეალი-აილენდერსი	2,1	3,5	2,7	1,31	1,18	1,52
04.30	1146	ოტავა-ვაშინგტონი	1,7	3,8	3,5	1,17	1,14	1,82
04.30	1147	ატლანტა-ნეშვილი	1,9	3,6	3,0	1,24	1,16	1,63
06.00	1148	კოლორადო-ედმონტონი	1,65	3,8	3,8	1,15	1,15	1,9
07.00	1149	ფინიქსი-ტორონტო	2,35	3,5	2,35	1,4	1,17	1,4
07.30	1150	ლოს ანჯელესი-ბუფალო	1,8	3,6	3,2	1,19	1,15	1,69
07.30	1151	სან ხოსე-ჩიკაგო	2,2	3,5	2,5	1,35	1,17	1,45
		კალათბურთი. იტალია						
		23 ოქტომბერი						
23.30	1202	აველინო-სკავოლინი	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45
23.30	1203	ბენეტონი-ტრიესტი	1,03	10,0	6,5	1	1	3,93
23.30	1204	სიენა-მილანი	1,15	10,0	4,0	1,03	1	2,85
23.30	1205	კანტუ-ტერამო	1,15	10,0	4,0	1,03	1	2,85
23.30	1206	როხეტო-ვარეზე	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45
23.30	1207	სკიპერი-მესინა	1,03	10,0	6,5	1	1	3,93
23.30	1208	უდინე-ლივორნო	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
23.30	1209	კალაბრია-ბიელა	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
		კალათბურთი. ესპანეთი						
		23 ოქტომბერი						
23.30	1231	მანრესა-ხირონა	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
23.30	1232	ალიკანტე-სან ფერნანდო	1,65	10,0	1,95	1,41	1	1,63
23.30	1233	ესტუდიანტესი-ტაუ	1,75	10,0	1,85	1,48	1	1,56
23.30	1234	რეალი-ვალიადოლიდი	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
23.45	1235	ბრეოგანი-ვალენსია	3,1	10,0	1,25	2,36	1	1,11
24.00	1236	ტენერიფე-ბარსელონა	2,6	10,0	1,35	2,06	1	1,18
24.00	1237	უნიკახა-ხუვენტუდი	1,4	10,0	2,4	1,22	1	1,93
		რაგბი. მსოფლიოს თასი						
		23 ოქტომბერი						
15.00	1305	ფიჯი-იაპონია	1,3	17,0	3,3	1,2	1	2,76
	1306	ფიჯი-იაპონია 0:9	1,8	10,0	1,8			

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

25.10 16.30	5601	ინგლისი პლ (X)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
25.10 16.30	5602	შოტლანდია პლ (X)	15 და ნაკლები – 1,9; 17 და მეტი – 1,9
25.10 18.30	5603	გერმანია ბლ (X)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
25.10 21.00	5604	იტალია A (VII)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
25.10 20.30	5605	ესპანეთი Iდ (VIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
25.10 20.15	5606	საფრანგეთი Iდ (XI)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
24.10 23.00	5607	პოლანდია Iდ (IX)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
25.10 23.00	5608	ბელგია Iდ (X)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს

1 ადგილი — ვეშაპიძე გია შოთას ძე 284 ქ.
2 ადგილი — კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე 274 ქ.
3 ადგილი — ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე 267 ქ.

გამარჯვებულები გამოცხადდნენ გაზეთის რედაქციაში პარასკევს, 24 ოქტომბერს, 17 საათზე. მისამართი: აგლაძის ქ. 39ა

II ეტაპის V ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1	ბუთხუზი ვასილ ვასილის ძე	36
2	იოსელიანი ლევან ვახტანგის ძე	34
3	გულუა კახაბერ არველოდის ძე	33
4-5	გორელაშვილი დავით გურამის ძე	31
4-5	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	31
6	ოსიაშვილი ამირან ილიას ძე	29
7-14	ვეშაპიძე გია შოთას ძე	28
7-14	თევდორაძე ვარლამ გივის ძე	28
7-14	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	28
7-14	მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე	28
7-14	ფირცხალაიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე	28
7-14	ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე	28
7-14	ჩანქსელიანი დავით ბორისის ძე	28
7-14	წერეთელი დიმიტრი მურადის ძე	28
15-26	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	26
15-26	ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე	26
15-26	თორდია ვალერიან ვალერიანის ძე	26
15-26	კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე	26
15-26	ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე	26
15-26	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	26
15-26	მელინკაური ლევან ვალერიანის ძე	26
15-26	ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე	26
15-26	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	26
15-26	წიკლაური მაია ინგურის ას	26
15-26	ჭანტურია სოსო კობას ძე	26
15-26	ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე	26

II ეტაპის VI ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1-2	ვეშაპიძე გია შოთას ძე	42
1-2	ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე	42
3-4	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	41
3-4	ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე	41
5-9	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	39
5-9	მარდალეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე	39
5-9	ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე	39
5-9	ქევხიშვილი ბიძინა ალექსანდრეს ძე	39
5-9	ცომაია რევაზ პეტრეს ძე	39
10-11	თევდორაძე ვარლამ გივის ძე	38
10-11	ოსიაშვილი ამირან ილიას ძე	38
12-21	ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე	36
12-21	ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე	36
12-21	იოსელიანი ლევან ვახტანგის	36
12-21	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე	36
12-21	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	36
12-21	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	36
12-21	სირაძე ტარიელ ვაჟას ძე	36
12-21	სულაშვილი ვაჟა თედოს ძე	36
12-21	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	36
12-21	ციცვიძე იური ვლადიმერის ძე	36
22	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	35
23-25	კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე	34
23-25	ნაცვლიშვილი ზაქრო გიორგის ძე	34
23-25	წიქარიძე იური ქიონის ძე	34

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 28 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)

საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37 .
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4 "
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური № 18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური № 17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური № 16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური № 15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის № 13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)
ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

II ეტაპი, IX ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 24.10.03

შტამპის | ადგილი

II ეტაპი, IX ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 24.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
16.30	25.10	ლივერპული - ლიდსი		16.30	25.10	ლივერპული - ლიდსი	
19.00	25.10	ასტონ ვილა - ევერტონი		19.00	25.10	ასტონ ვილა - ევერტონი	
19.00	25.10	ჩელსი - სიტი		19.00	25.10	ჩელსი - სიტი	
18.30	25.10	ჰამბურგი - შალკე		18.30	25.10	ჰამბურგი - შალკე	
18.30	25.10	ჰანზა - ჰერტა		18.30	25.10	ჰანზა - ჰერტა	
18.30	25.10	ფრაიბურგი - ვერდერი		18.30	25.10	ფრაიბურგი - ვერდერი	
19.00	25.10	ნანტი - ლიონი		19.00	25.10	ნანტი - ლიონი	
19.00	25.10	სოშო - მონაკო		19.00	25.10	სოშო - მონაკო	

II ეტაპი, IX ტური | **II ეტაპი, IX ტური**

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
16.30	25.10	ლივერპული - ლიდსი		16.30	25.10	ლივერპული - ლიდსი	
19.00	25.10	ასტონ ვილა - ევერტონი		19.00	25.10	ასტონ ვილა - ევერტონი	
19.00	25.10	ჩელსი - სიტი		19.00	25.10	ჩელსი - სიტი	
18.30	25.10	ჰამბურგი - შალკე		18.30	25.10	ჰამბურგი - შალკე	
18.30	25.10	ჰანზა - ჰერტა		18.30	25.10	ჰანზა - ჰერტა	
18.30	25.10	ფრაიბურგი - ვერდერი		18.30	25.10	ფრაიბურგი - ვერდერი	
19.00	25.10	ნანტი - ლიონი		19.00	25.10	ნანტი - ლიონი	
19.00	25.10	სოშო - მონაკო		19.00	25.10	სოშო - მონაკო	

II ეტაპი, IX ტური | **II ეტაპი, IX ტური**

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
16.30	25.10	ლივერპული - ლიდსი		16.30	25.10	ლივერპული - ლიდსი	
19.00	25.10	ასტონ ვილა - ევერტონი		19.00	25.10	ასტონ ვილა - ევერტონი	
19.00	25.10	ჩელსი - სიტი		19.00	25.10	ჩელსი - სიტი	
18.30	25.10	ჰამბურგი - შალკე		18.30	25.10	ჰამბურგი - შალკე	
18.30	25.10	ჰანზა - ჰერტა		18.30	25.10	ჰანზა - ჰერტა	
18.30	25.10	ფრაიბურგი - ვერდერი		18.30	25.10	ფრაიბურგი - ვერდერი	
19.00	25.10	ნანტი - ლიონი		19.00	25.10	ნანტი - ლიონი	
19.00	25.10	სოშო - მონაკო		19.00	25.10	სოშო - მონაკო	

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 25 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 25 ოქტომბერს)

საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი

კვირის კალენდარი

20 ოქტომბერი - გაზეთი „ახალი ვერსია", მეორე ეტაპის მე-11 ტური,
ინგლისის თასი მესამე რაუნდი (28-29 ო ქტომბერი, Carling Cup), სამ ვარიანტად.
21 ოქტომბერი - ჟურნალი „ულტრა", მეორე ეტაპის მე-12 ტური,
(29 ოქტომბერი, ესპანეთის ჩემპიონატი), სამ ვარიანტად.
23 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი", მეორე ეტაპის მე-9 ტური,
(25 ოქტომბერი, ევროპის ქვეყნების სჩ),
სამ ვარიანტად. მეორე ეტაპის მე-5 და მე-6 ტურის წინასწარი შედეგები,
მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები).
24 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი", მეორე ეტაპის მე-10 ტური,
(26 ოქტომბერი, ევროპის ქვეყნების სჩ), ორ ვარიანტად.
25 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი", მეორე ეტაპის მე-7 და მე-8 ტურის წინასწარი შედეგები,
მდგომარეობა 8 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები), კონკურსის დებულება, მომდევნო კვირის კალენდარი.

მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქულა
1	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	206(34-50-31-34-21-36)
2	თორდია ვალერიან ვალერიანის ძე	197(31-47-31-31-26-31)
3	სირაძე ტარიელ ვაჟას ძე	195(42-41-26-32-18-36)
4-6	ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე	190(34-41-25-29-25-36)
4-6	გორელაშვილი დავით გურამის ძე	190(23-35-36-34-31-31)
4-6	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	190(42-39-26-29-13-41)
7	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	189(31-41-26-26-26-39)
8-9	ვეშაპიძე გია შოთას ძე	188(31-33-31-23-28-42)
8-9	ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე	188(36-33-31-23-23-42)
10	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	187(31-38-28-31-23-36)
11	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	185(28-44-31-34-23-25)
12-13	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	183(36-33-31-26-31-26)
12-13	სულაშვილი ვაჟა თედოს ძე	183(31-33-34-31-18-36)
14-16	კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე	178(26-36-28-28-26-34)
14-16	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	178(29-39-39-21-15-35)
14-16	მელინკაური ლევან ვალერიანის ძე	178(31-41-39-13-26-28)
17-18	ჟღენტი გიორგი დიმიტრის ძე	177(34-38-36-21-15-33)
17-18	ჭანტურია სოსო კობას ძე	177(25-38-31-31-26-26)
19	ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე	176(36-31-26-26-26-28)
20	ფაცია გიორგი მურმანის ძე	175(39-38-34-18-18-28)
21	ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე	173(26-36-31-29-23-28)
22	წიკლაური მაია ინგურის ას	172(18-44-31-28-26-25)
23	სალუქვაძე ზაზა რეზოს ძე	171(25-36-28-26-23-33)
24-25	იოსელიანი ლევან ვახტანგის ძე	170(23-28-31-18-34-36)
24-25	ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე	170(28-23-28-26-26-39)

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

ალბერტ ფალეტოლია

ქართული სინდრომი:

უჩხუბრად საქმე არ გამოდის

კლოდ სორელმა ნაკრები გამოცვალა

მსოფლიოს თასის პირველივე მატჩში ინგლისელებთან დიდი ანგარიშით დამარცხებულმა ქართველმა მორაგბეებმა უცხოელებს მცირე ქება მოსწყვიტეს. მსოფლიოს თასის სადებიუტო შთაბეჭდილებების ფონზე ითქვა, ქართველებს ჯარგი ნაკრები ჰყავთ და მათთან იოლი ბურთაობით ფონს ვერც ერთი სარაგბო გრანდი ვერ გავა. კიდევ ისიც ითქვა, ბორჯღალოსნები მოედანზე თავს არ ზოგავენ და მოწინააღმდეგეს ერთი მეორის მიყოლებით ბოჭავენო. ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯლაივ ვუდვორდმა ბორჯღალოსნებთან შერკინება ყველაზე ჯარგ ვარჯიშად მიიჩნია სამხრეთ აფრიკასთან მატჩის წინ. თავად ჯლოდ სორელმაც, მატჩიდან მატჩამდე მოვუმატებთო. ჰოდა, ჩვენც, ნანახითა და წაკითხულით გათამამებულებმა მომავალს იმედიანად შევხედეთ. მით უფრო დიდი იყო ჩვენი იმედგაცრუება სამოასთან მატჩის შემდეგ.

აქამდე ქართველები ჯიგრითა და მონდომით მაინც ირჯებოდნენ, სამოასთან კი სრულიად სხვა, ბევრად უფრო მძიმე, მოუქნელი და, რაც მთავარია, არეული ნაკრები ვნახეთ, რომელიც ინგლისზე ბევრად სუსტ სამოელებს ყველაფრის საშუალებას აძლევდა.

მატჩის შემდეგ ჯლოდ სორელს ხმის აწევაც დასჭირდა, შემდეგ კი სამხრეთ აფრიკასთან თამაშის წინ მთელი ნაკრები შეცვალა, ძირითადი გუნდიდან მხოლოდ ოთხი-ხუთი მოთამაშე დატოვა.

— სამოასთან მატჩს როგორ შეაფასებთ?

— სიმართლე გითხრათ, ასეთი ანგარიშით მარცხს ნამდვილად არ ველოდი. ჩემი აზრით, წაგების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბიჭები თავიანთ თავში დარწმუნებულები არ იყვნენ. თანაც მოწინააღმდეგეს სათამაშოდ ბევრი ბურთი მივეცით, 20 წუთში 14 ბურთი დავკარგეთ, ამას კი არც ერთი ნორმალური ნაკრები არ გაპატიებს.

— მატჩის წინ ნაკრებს კონკრეტულად რა დავალება მიეცით?

— როგორც ყოველთვის, ჩვენი ნახევრიდან მოწინააღმდეგის ნახევარზე ბურთის ფეხით გადატანა და შემდეგ იქ ბრძოლა. სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა. შერკინებამ უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო, ხოლო ხაზი მთელი თამაშის განმავლობაში დაცვაში იდგა, შეტევაში კი სულელურ შეცდომებს უშვებდა. უამრავი ბურთი ვაჩუქეთ მოწინააღმდეგეს.

— ვინმეთი თუ დარჩით კმაყოფილი?

— ვერ ვიტყვი, რომ ვინმეთი კმაყოფილი ვარ, მაგრამ ნაკრების საერთო თამაშიდან შველიძეს, იაშვილს, ზიბზიბაძეს, ირაკლი გიორგაძესა და ურჯუკაშვილს გამოვარჩევდი. მათ სხვებზე ოდნავ უკეთ ითამაშეს.

— ნამატჩევს ბიჭებს რა უთხარით?

— ძალიან გაბრაზებული ვიყავი და ბიჭებს მაგრად ვეჩხუბე. უფრო იმიტომ ვეჩხუბე, რომ ვიცი, ბევრად უკეთესად შეუძლიათ თამაში. თანაც მოედანზე სულელური შეცდომები მოსდით, რაც დაუფიქრებლობის ბრალია.

— მომდევნო მეტოქე სამხრეთ აფრიკაა. ნაკრების გადახალისებას თუ გეგმავთ?

— სამხრეთ აფრიკასთან სათამაშოდ სრულიად განსხვავებული ნაკრები გავა. ძირითად შემადგენლობას დავასვენებ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატჩის უბრძოლველად დათმობას ვაპირებთ. დღეისთვის ნაკრებში 30 მორაგბე მყავს, რომლებსაც ვენდობი. ამიტომაც თავის გამოჩენის საშუალებას ყველას მივცემ.

— ესე იგი, სამხრეთ აფრიკასთან მეორე შემადგენლობა ითამაშებს?

— მინდა, რომ ურუგვაისთან მოვიგოთ, ამიტომაც ნაკრების ძირითად ბირთვს დასვენების საშუალება მივეცი. სამხრეთ აფრიკასთან მატჩის შემდეგ ბიჭებს აღდგენისთვის 3 დღე აქვთ. ამიტომაც ვარჩიე, სამხრეთ აფრიკასთან მეორე გუნდით გვეთამაშა. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბრძოლველად დავნებდებით.

თანაც ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშემ სამოასთან ტრავმა მიიღო, თუმცა ვიმედოვნებ, ურუგვაისთან თამაშს ყველა შეძლებს. გოდერძი შველიძეს მუხლი აწუხებს, ვანო ნადირაძემ კოჭი იტკინა... ყველაზე მძიმე ტრავმა გია ლაბაძეს აქვს, მას მხარი სტკივა, თუმცა იმედი მაქვს, ურუგვაისთან ისიც ითამაშებს.

— სამხრეთ აფრიკასთან რა შანსები გვაქვს?

— სამხრეთ აფრიკას ფიზიკურად ძლიერი ნაკრები ჰყვს. თამაშითაც ხომ ჩვენზე კარგად თამაშობენ, თუმცა მათ ფიზიკურ სიძლიერეს უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევ. ერთის თქმა ნამდვილად შემიძლია, ჩვენთვის ძალიან რთული მატჩი იქნება.

22 ოქტომბერი. სიდნეი

არგენტინა 50:3 რუმინეთი

არგენტინა: ერნანდესი, პიოსეკი, გაიტანი, კონტეპომი, სენილოსა, ხ. ფერნანდესი (კესადა), ნ. ფერნანდესი (პიჩო); ბოუსა, დურანდი, პელანი (კაპ) (მარტინი), ალბასეტე, სპორლედერი, სკელოსო (პასანი), ლედესმა, რონჩერო

7ლ: გაიტანი, ერნანდესი (2), კონტეპომი, ნ. ფერნანდესი, ბოუსა (2); **6გ:** ხ. ფერნანდესი (4), კესადა (2); **ჩ:** ხ. ფერნანდესი

რუმინეთი: ბრეზოიანუ, ვიორეანუ, მაფტეი (სუანი), გონტინიაკი (კაპ), თეოდორესკუ, ტოფანი, სირბუ (იულიანი); ჩირიაკი (პეტრიჩეი), ტონიცა, ტუდორი (ტატუ), პეტრე, სოკოლი, ფლორეა (პოპესკუ, იონი), მავროდინი, ტოდერაშკი

ჩ: ტოფანი

შემადგენლობა სამხრეთ აფრიკასთან

1) ავთანდილ კოპალიანი
2) დავით დადუნაშვილი
3) ალეკო მარგველაშვილი
4) ვიქტორ დიდებულიძე
5) სერგო გუჯარაიძე
6) დავით გოლღაშვილი
7) გიორგი წიკლაური
8) გიორგი ჩხაიძე
9) ირაკლი მოდებაძე
10) პალიკო ჯიმშელაძე
11) არჩილ ქავთარაშვილი
12) ვასილ კაცაძე
13) ოთარ ელოშვილი
14) გოჩა ხონელიძე
15) ირაკლი მაჩხანელი

სამოადარგოვები

აქვსენტი გიორგაძე
სოსო ნიკოლაენკო
გრეგუარ იაშვილი
ილო ზედგინიძე
მერაბ კვირიკაშვილი
ირაკლი აბუსერიძე
ბესიკ ხამაშურიძე

ᲯᲔᲛᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

მოერიდეთ, რეიდებია!

მძლეოსნებს დოპინგკონტროლი დაეცათ

სამძლეოსნო სამყაროში ახალი სადოპინგო სკანდალის მძაფრი სუნი დატრიალდა. ანტისადოპინგო ლაბორატორიებმა მძლეოსანთა შარდში ახალი შემართებით გააჩაღეს მსოფლიოს სპორტის ფხიზელი კონტროლიორებისგან დაგმობილი და სასტიკად აკრძალული სტეროიდების ძებნა. ამბობენ, ისეთი სკანდალი მწიფდება, სარბენი ბილიკების კულისებს ლეგენდარული ბენ ჯონსონის კარგად გახმაურებული ამბების შემდეგ არ ახსოვსო.

ინიციატივა ოკეანგაღმიდან მოდის. ამერიკელებმა აღმოაჩინეს სტეროიდის ახალი სახეობა. უფრო ზუსტად, კი არ აღმოაჩინეს, არამედ ამერიკელ მძლეოსნებს შარდის ძველ ანალიზში აღმოუჩინეს ასეთი საშინელება — ტეტრაჰიდროგესტრინონი (ეს კარგად დამუშავებული მამაძაღლობა წარმოსათქმელადაც ისეთივე რთული ჩანს, როგორც ალბათ ატომურ-მოლეკულური აგებულებითაა).

ტეტრაჰიდროგესტრინონი კარგა ხანია, შედის აკრძალულ პრეპარატთა გრძელ სიაში, თუმც აქამდე ისე კარგად ახერხებდა შარდში დამალვას, რომ იშვიათად პოულობდნენ. მაგრამ აი, აშშ-ს ანტისადოპინგო სამსახურს აზრად მოუვიდა ამ ივნისში ქვეყნის შიდასამძლეოსნო ჩემპიონატისას აღებული ანალიზების ხელახლა გადამოწმება. ეტყობა, ამერიკელებმა ეს ძალიან გულმოდგინედ გააკეთეს და შემოწმებული დაახლოებით 350 ნიმუშიდან რამდენიმეში იპოვეს, რასაც ეძებდნენ. ჩავარდნილთა ვინაობას ამერიკელები ჯერ არ იტყობინებიან, ასე ვთქვათ, ხელმეორე ტესტირება ემუქრებათ და თუ მეორედაც დადებითი პასუხი ამოვიდა, მაშინ „დამნაშავენი“ ორწლიანი უმოქმედობით დაისჯებიან.

ამერიკა დიდი და შემძლე ქვეყანაა. იანკებს მით უმეტეს, მძლეოსნებშიც უჭრით სიტყვა. ჰოდა, ეს ანტისადოპინგო რეიდები ევროპასაც მოედო. სამძლეოსნო ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) რამდენიმე სპორტსმენს ამერიკელთა გამოცდილების გათვალისწინებით შეუმოწმა შარდი და... არის!!!

პირველივე რეიდზე დიდი ღლავი ამოჰყვა ბადეს — ევროპის ჩემპიონი და რეკორდმენი 100 მეტრზე სპრინტში, ბრიტანელი დუეინ ჩამბერსი!

ჩამბერსის ჩავარდნა ბრიტანულმა „გარდიანმა“ „აღმოაჩინა“, ხოლო ამ მადლიანმა გიგანტმა „როიტერმა“ ჩვეული ოპერატიულობით მოსდო ეს ამბავი მსოფლიოს.

ცხადია, ჩამბერს კიდევ აქვს გადარჩენის შანსი, თუმც ხავსივით ციცქნა. თანაც თავად ჩამბერსზე აღარაფერია დამოკიდებული, თუ მეორე და გადამწყვეტმა ტესტირებამაც დადებითი შედეგი აჩვენა, მოზვერა ბრიტი სპრინტერი ორი წლით დაემშვიდობება სარბენ ბილიკებს და ტრიბუნაზე საგანგებოდ მის სანახავად შეყრილ პუბლიკას.

ორწლიანი დისკვალიფიკაცია და თანაც ახლა? ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადიც არ რჩება, ათენში კი ჩამბერსს იქნებ ოქროც გამოემუშავებინა. ამერიკელ სპრინტერთა ჩავარდნის ხანაში ის ხომ ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტია.

ეს ერთი და სხვაც ათასიო, იქნებ თქვან ანტიმედოპინგეებმა და საქმეს კიდეც უჩანს ისეთი პირი, კიდევ ბევრი ჩავარდება. მართალია, იაფუ-ს კარგი სპორტსმენები „უჭირს“ და ერთთავად იმაზე წუწუნებს, სახელიანი მძლეოსნების ნაკლებობა ჩვენი სახეობის პრესტიჟს აქვეითებსო, მაგრამ რას იზამს. მძლეოსნობის მამები იძულებულები იყვნენ, სხვათა შემოწმების ბრძანებაც გაეცათ.



დუეინ ჩამბერსი შავ დღეში ჩავარდა

გადაწყდა, რომ შემოწმდება წლეულს აგვისტო-სექტემბერში პარიზში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მონაწილის შარდი. „როიტერი“ ამ დღეებში ალბათ სხვა მსხვერპლთა სიასაც მოგვაწვდის, ასე რომ...

ირაკლი ფირაყვილი

საქართველოს ჩემპიონატი

ფარები ჩქარა!

ბათუმში სტუდენტებს ჩაგრავენ

22 ოქტომბერი. ბათუმი

ბასკო 86:75 თსუ

გუშინ ბათუმში საინტერესო მატჩი გაიმართა. ვიცე-ჩემპიონი „ბასკო“ ამბიციებმოძალებულ თსუ-ს მასპინძლობდა და დაუნდობელი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა წინა შეხვედრაში დუდუ დადიანის ოასის მფლობელი „სტუჯეოსელი“ დაამარცხა და ზღვისპირეთშიც მოსაგებად ჩავიდა. შინაურ სარბიელზე მედგრად მებრძოლი „ბასკოც“ რომ არ იყო დამხვევი, ესეც ცხადია. ჰოდა, ბათუმელებმა ათასიოდადგილიანი დარბაზი პირთამდე შეავსეს და ხელების ფშვნეტით უცდიდნენ თამაშის დაწყებას.

მაგრამ სანამ ბათუმურ მატჩზე გეტყოდეთ, თბილისში გუშინ გასამართ შეხვედრაზე შევჩერდეთ. ისე „დინამო“ — სსუ-ზე საუბრელიც არაფერია, რადგან ეს მატჩი გადაიდო. იფიქრებთ, ძველმა სენმა უშუქობამ შეიწირაო, მაგრამ არა, გუშინ ვერის ბაღში ყველაფერი მზად იყო ერთის გარდა — კალათი ჩამოვარდა. საქმე ისაა, რომ ტრიბუნის მხარეს მდგარი ფარის კალათი წლების მანძილზე გვარიანად მოარყიეს ჩვენი ჩემპიონატის დიდ-დიდმა მტენელებმა და გუშინწინ დარბაზის ტექპერსონალმა ახალი რკინის რკალები დაამონტაჟა, თუმც, როგორც გამოჩნდა, მთლად საიმედოდ ვერა.

მატჩისწინა გასახურებელი ვარჯიშისას დინამოელებმა უთხრეს კიდეც ტექპერსონალს, ეს კალათი რაღაც ცუდად ყანყალებს, ემანდ არ ჩამოვარდეს და რამე ხიფათს არ გადავეყაროთო. ნურაფრის გეშინიათ, ეგ კალათი გუშინ დავაყენეთ და რამ უნდა ჩამოაგდოსო, იყო პასუხი. კიდევ კარგი, დინამოელებმა არ დაიჯერეს ფარის მდგრადობა და სამწამიანში შესვლას მოერიდნენ, შორიდან ესროდნენ. მუშკუდიანის სროლა, ტულუშის, ელენტის ვაკო ბეჟანიშვილისას კალათმა ვედარ გაუძლო და ფიცარნაგზე გაადინა ზღართანი. იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ, მაგრამ ფარის მწყობრში მოყვანა ვერაფრით მოახერხეს პრტყელტუჩა-ჩაქუჩ-კიბე მომარჯვებულმა მუშაკებმა.

დაახლოებით ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ მწვრთნელ-კომისრებმა მატჩის გამართვის თარიღად შაბათის ხუთი საათი დაიქვეს და ნელ-ნელა გაიკრიფნენ დარბაზიდან.

ვერის ბაღის დარბაზი რომ იცლებოდა, სწორედ მაშინ ივსებოდა ბათუმური სარბიელი, სადაც ‘ფარები ურყევად იდგა და გვარიანი ბურთაობაც გაჩაღდა. ბასკოელებმა ჩვეულად დაცვაზე გააკეთეს აქცენტი და ყოველნაირად ცდილობდნენ, სტუდენტებისითვის თავისუფლად სროლის საშუალება არ მიეცათ. თსუ ხომ სწორედ ჩუბინი მოთამაშეებით არის ცნობილი. დავით თორთლაძეს, ირაკლი მაისურაძეს, ვალერი კილაძეს თუ წაუვიდათ სროლები, მერე ძნელია მათი დაკავება და ბათუმელებიც გასაქანს არ აძლევდნენ, ამ მოთამაშეებს ლანდებივით აჰკვროდნენ. როგორც მატჩის შემდეგ „ბასკოს“ მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა სატელეფონო საუბრისას გვითხრა, ეს წინასწარდაგეგმილი ტაქტიკა იყო — თსუ-ელთათვის თავისუფლად სროლის საშუალება არ უნდა მიგვეცა, გვიჯობდა, ფარქვეშ შემოსულიყვნენ, ვიდრე საშუალო და შორი დისტანციებიდან შეეტიანთო.

ბუბა და ირაკლი ბერიშვილი ფეხდაფეხ დასდევდნენ მაისურაძესა და თორთლაძეს, სტუდენტთა ზორბა ცენტრ კახა შენგელიას კი დავით ბერძენიშვილი მეურვეობდა. მასპინძელთა ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო, თბილისელები ბლომად ბურთებს აცილებდნენ, რომლებსაც ბასკოელები ხსნიდნენ და ფეხმარდი უკანახაზელების დახმარებით ქულებად აქცევდნენ. 10:2 — ასე გაექცა „ბასკო“ თსუ-ს და საწყისი ათწუთეული 24:12 მოიგო.



დროდადრო თორთლაძე კი გამოიღებდა ხოლმე ხელს და ერთ-ორ შორ სროლას ჩააგდებდა, მაგრამ საერთო ამინდს, რომელიც ბათუმლებმა შექმნეს, „თორთლას“ ვაინაჩრობა ვერ ცვლიდა. „ბასკო“ ფარზეც ჩინებულად ირჯებოდა, ბერძენიშვილიმნაძის ტანდემს მოხსნებში ვერავინ სჯობდა და პირველი ტაიმიც ბათუმელთა გვარიანი უპირატესობით — 52:29 დასრულდა.

მესამე ათწუთეული იყო თანაბარძალოვანი, გუნდები მორიგეობით იხვეჭდნენ ქულებს, რაც ანგარიშში დაწინაურებულ ბათუმელებს აძლევდა ხელს. მატჩის ბედი პრაქტიკულად მაშინ გადაწყდა, როცა 20 ქულით ჩამორჩენილმა სტუდენტებმა უკანასკნელი ათწუთეული ძველებურად დაიწყეს, ანუ ვერ გაბატონდნენ ფარზე და ბათუმელ უკანახაზელებზე იმხელა უპირატესობა ვერ მოიპოვეს, თამაშს რომ შემოაბრუნებინებდათ. თბილისელებმა საბოლოოდ მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხეს, თუმც მაინც ორნიშნა სხვაობით დამარცხდნენ.

ირაკლი პერტაია

შეცვლის საბონისს სტეფანია?

ვლადი: საჭირო კაცი პორტლენდისთვის

ხორვატიულ „სპლიტში“ ფიქტიურად გადასული ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია ნბა-ს კლუბებთან განაგრძობს მოლაპარაკებას და ახლა წყნაროკეანისპირა პორტლენდში იმყოფება. ვოვამ რამდენჯერმე უკვე ივარჯიშა იქაურ „ბლეიზერსთან“ და მწვრთნელ მორის ჩიკსის მონონებაც დაიმსახურა



ხომ ცუდად ხვდება ყურს: „სპლიტის“ ცენტრი სტეფანია“ — სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: კარიერის პიკზე მყოფ და „მაიამიდან“ წამოსულ სტეფანიას სწორედ ახლა გაუჯანჯლდა სასურველი კლუბის გამონახვა და რიგი მიზეზების გამო იძულებული გახდა, ხორვატიული კლუბისთვის გაეფორმებინა კონტრაქტი. მართალია, ვოვას როცა მოუნდება, მაშინ ამოირიცხება „სპლიტიდან“, მაგრამ გუშინ რომ ამ კლუბის ოფისში დავრეკეთ, ამაყად მოგვიგეს, სტეფანია „სპლიტის“ საკუთრებაა, მის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი აგერ, დევსო.

სტეფანიას რომ „სპლიტში“ არაფერი ესაქმება, ყველამ კარგად იცის და ალბათ სენსაცია იქნება, ხორვატიაში თუ გადაბარგდება. ნბა-ში მეტოქის ფარზე მოხსნელთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო სტეფანიას რამდენიმე შეთავაზება ჰქონდა ნბა-ს სხვადასხვა კლუბისგან, მაგრამ ზოგთან ფულზე ვერ შეთანხმდა, ზოგთანაც საკონტრაქტო ვადაზე.

ახლა კი სტეფანია „პორტლენდშია“ და კვირადღის ვარჯიშის შემდეგ ამ გუნდის მწვრთნელმა მორის ჩიკსმაც ესა თქვა ჩვენებურზე — „ვლადი გამოცდილი ბიჭია, ნბა-ში უკვე კარგა ხანია, თამაშობს. მას პატრაილი ავარჯიშებდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან იცის საქმე. ვფიქრობ, ეს ის კაცია, ვინც დღეს გვჭირდება.“

„პორტლენდს“ ამ ზაფხულს გამოაკლდა დიდი ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი და ჩიკსს სტეფანიაც ალბათ მის შემცვლელად თუ შეუგულებია.

ირაკლი პერტაია

რეგულარული ჩემპიონატი

აბა, კარგი ცოცხალი!

ედმონტონი გემრიელი თევზივითაა

21 ოქტომბერი

ედმონტონი 4:6 სენტ ლუისი

3:2 0:3 1:1

1:0 ჯ. სმიტი (4), 2:0 რიზონერი (14), 3:0 იორკი (15), 3:1 უეიტი (16), 3:2 დანტონი (18), 3:3 დემიტრა (26), 3:4 მაიერსი (26), 3:5 ჩაიანეკი (39), 4:5 ჰემსკი (52), 5:5 ჯეკმენი (60)

წაგებულის ქებით დავიწყებთ — კარგი გუნდია „ედმონტონი“. ლიგაში რამდენიმე ძისი დარი გუნდი რომ ყოფილიყო, მაყურებელთა დასწრების პრობლემა არ შეიქმნებოდა და არც ლოკაუტის თემა ამოტივტივდებოდა. „ედმონტონი“ ლამის ყოველ წელს კარგავს ლიდერებს სიდუხჭირის გამო, მაგრამ კვლავ რეალურ ძალად რჩება. მეტიც, მას ჰყოფნის გამბედაობა, ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლაში აჩვენოს თავისი საფირმო, უაღრესად სწრაფი კომბინაციური ჰოკეი. თუნდაც „სენტ ლუისთან“ მატჩი ავიღოთ. პირველ 15 წუთში მასპინძლებმა მეტოქეს თავბრუ დაახვიეს და მეკარე ბრენტ ჯონსონს სამჯერ გამოატანინეს შაიბა კარის ბადიდან.

თუმც ეს ცოცხალი თამაში ხშირად „ედმონტონისთვის“ საზიანოცაა — თავიანთი აზარტით ხან ისე დაქოქავენ ხოლმე „მენავთობეები“ მეტოქეს, რომ მერე მათ შეჩერებას ვეღარ ახერხებენ. როგორც კი ჯონსონი კარში კრის ოსგუდმა შეცვალა, „სენტ ლუისი“ გააქტიურდა და მეორე პერიოდის დასრულებამდე ხუთი(!) უპასუხო შაიბით დაწინაურდა. მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კვლავ დაუბრუნეს თამაშს ინტრიგა, ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს და კიდევ არაერთხელ იყვნენ ახლოს მიზანთან, მაგრამ საბოლოოდ ცარიელ კარში ერთი გოლიც მიიღეს და თავიანთ ყინულზე სეზონში პირველად დამარცხდნენ. „მესამე პერიოდში მართლაც რომ შემაწუხეს. ეს ჟორჟ ლარაქი რომ წინ დაგიდგება, ხომ საერთოდ შეუძლებელია რაიმეს დანახვა. მოკლედ, დღეს მაგრად გავწვალდი“ — აღიარა მატჩის შემდეგ ოსგუდმა.

სან ხოსე 0:2 ანაჰაიმი

0:2 0:0 0:0

0:1 ოზოლინში (15), 0:2 სიკორა (17)

ტამპა 3:2 ატლანტა

1:0 1:0 0:2 1:0

1:0 სტილმანი (5), 2:0 სტილმანი (16), 2:1 კოვალჩუკი (56), 2:2 სავარი (59), 3:2 კუბინა (64)

მანამდე დაუმარცხებელი „ატლანტა“ და „ტამპა“ ამ უკანასკნელის მოედანზე შეიყარნენ. მრავალწლიანი აუტსაიდერები წინა სეზონში სწორ გზას დაადგნენ და სამშაბათს მათი დაპირისპირება ცენტრალურ მოვლენად იქცა. თამაში მართლაც რომ კარგი გამოდგა. „ატლანტამ“ დიდი თავგამოდებით შეძლო ძირითადი დროის ბოლო წუთებზე დიდებულად მოთამაშე ნიკოლაი ხაბიბულინის კარის გასაღების პოვნა, მაგრამ ოვერტაიმში რიცხვმრავლობაში მოთამაშე სტუმრები უხეშად შეცდნენ და პაველ კუბინამ „ელვებს“ ზედიზედ მეოთხე მოგება მოუტანა.

„სუპერთამაში იყო. ვამაყობ ჩემი ბიჭებით, მაგრამ ხაბიბულინი მართლაც საოცრება გახლდათ“ — დაასკვნა მატჩის შემდეგ „ატლანტას“ თავკაცმა ბობ ჰარტლიმ.

მინესოტა 2:3 კალგარი

1:0 0:2 1:1

1:0 პარკი (6), 1:1 იგინლა (22), 1:2 ლომბარდი (26), 1:3 მაკამონდი (43), 2:3 ზიუზინი (45)

კოლორადო 1:4 ბოსტონი

1:2 0:1 0:1

1:0 ტანგეი (2), 1:1 როლსტონი (11), 1:2 ჯილსონი (20), 1:3 გროშეკი (40), 1:4 ნაბლი (51)

ლოს ანჯელესი 4:0 ფილადელფია

0:0 2:0 2:0

1:0 შტრბაკი (26), 2:0 მოდრი (39), 3:0 შტრბაკი (45), 4:0 ფროლოვი (57)

„ფილადელფიამაც“ რომ წააგო, ნჰლ-ში ერთი გუნდიღა დარჩა დაუმარცხებელი — „ტამპა“. „მფრინავებისთვის“ ყველაზე საწყენი ალბათ ის არის, რომ ერთხელაც ვერ გაიტანეს. თან სტუმრები მათმა ყოფილმა თანაკლუბელმა, ახლა „ლოს ანჯელესის“ მეკარე რომან ჩეხმანეკმა შეარცხვინა“.

სამველ ღარიბიანი

„**როდესაც მე** ვქმნიდი ატომურ რეაქტორს დიმონში, შარლატანს მეძახდნენ — ამბობს პერესი — როდესაც საფუძველი ჩავუყარე საავიაციო წარმოებას, ავტორიტეტული პირები ამტკიცებდნენ, რომ მე თეთრი სპილოებით ვვაჭრობ. როდესაც მე იარაღს ვიძენდი საფრანგეთში, ზოგიერთი პოლიტიკოსი ჩემგან ამ საქმიანობაზე ხელის აღებას მოითხოვდა. დღეს მე აღარ მაინტერესებს რას ამბობენ ჩემზე, მე ვიცი ჩემი ამოცანა და მას ბოლომდე ვასრულებ."

შიმონ პერესი ახლა კიდევ ერთი ამოცანის შესასრულებლად ჩამოვიდა თბილისში, რათა დღეს მისივე სახელობის „მშვიდობის ცენტრსა" და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდს შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმდეს შეთანხმება.

შიმონ პერესის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ ამ შეთანხმებით ამოქმედდება პროგრამა „სახალხო დიპლომატია — იმედი", რომელიც კავკასიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის მიერ ორგანიზებული ოლიმპიური ფესტივალიც ამ პროგრამის ნაწილია.

ამ ოლიმპიური ფესტივალის დამაგვირგვინებელ ზეიმზე იყვნენ აგრეთვე ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი, იტალიის სახელმწიფო მდივნის მოადგილე სპორტის დარგში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი მარიო პესკანტე, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური მდივანი, ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი, აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები, ამავე ქვეყნების: ისრაელისა და იტალიის ელჩები საქართველოში.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მეთაურები თავდაპირველად საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ეწვივნენ. აქ მარიო პესკანტემ საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ჯილდო გადასცა.

ჯანო ბაგრატიონმა „საპასუხო სიტყვაში" მარიო პესკანტესა და პატრიკ ჰიკს უთხრა: წლის ბოლოს ჩვენს სესიაზე დავაყენებთ საკითხს, რომ თქვენ ორივენი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო წევრებად აგირჩიონო. იქვე განმარტა, მართალია, მე სამეფო გვარის წარმომადგენელი კი ვარ, მაგრამ არ მინდა ეს საკითხი ერთპიროვნულად გადავწყვიტო. ვიმედოვნებ, სესია ამაში მხარს დამიჭერსო.

იქვე პატრიკ ჰიკმა ჯანო ბაგრატიონს დაუტოვა კიდევ ერთი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ჯილდო — გთხოვთ, ეს ჩემი სახელით გადასცეთ ბადრის. სამწუხაროდ, მის გრძელ გვარს ვერ წარმოვთქვამ. ამისთვის ვარჯიში მომიწევს და მეორე ვიზიტისას უთუოდ ენის ბორძიკის გარეშე ვიტყვი ბატონ ბადრის გვარსო (ხუმრობით ალბათ, ბატონ ბადრიში ვის გულისხმობდა).

ბადრი პატარკაციშვილი, მარიო პესკანტე და პატრიკ ჰიკი

ოლიმპიური ოპერა

შიმონ პერესმა საქართველოს ისტორია ჩაუთვალა

გუშინ დიდი სტუმრიანობით გასრულდა საქართველოს ორკვირიანი ოლიმპიური ფესტივალი. ბოლოს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ ყველა თაობის ქართველი ოლიმპიელები და ყველაფერი „შერატონ-მეტეხი პალასში" გამართული ოფიციალური ვახშმით დაგვირგვინდა.

ოპერის თეატრში [illegible] შორის იყვნენ სპორტსა და პოლიტიკაში დიდად ცნობილი პიროვნებები, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი შიმონ პერესი, ვინც სხვადასხვა დროს მეთაურობდა ისრაელის კომუნიკაციების, საგარეო საქმეთა, ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებს და, რაც მთავარია, იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრი.

სტუმრებმა იქვე დაათვალიერეს საქართველოს ეოკ-ის მუზეუმი, მერე კი მოსწავლეთა სასახლეში დაესწრნენ სემინარს — „ქალები და სპორტი", სადაც მათ 35-მდე ქალბატონი დახვდათ, მათ შორის ჩვენი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. სტუმრებსა და ამ ქალბატონებს პატივი დასდო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ და ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა.

ქალებს რომ გამოემშვიდობნენ, სტუმრებმა ხელოვნების მუზეუმში გადაინაცვლეს, სადაც დაესწრნენ გამოფენა-კონკურსის („სპორტი და ხელოვნება") გახსნას, მერე ელენე ახვლედიანის ბავშვთა ნახატების გალერეაში მოინახულეს ნორჩთა შემოქმედება სპორტულ თემაზე.

გუშინვე იყო ოპერისა და ბალეტის თეატრი და იქ გამართული ზეიმი. ზეიმზე წაიკითხეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგის მისასალმებელი წერილი; წაიკითხეს ყოფილი ჩვენი თანამემამულის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის წერილიც, რომელმაც მოგვიბოდიშა, მეოთხე ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებლად ვემზადები და ვწუხვარ, რომ ვერ გესწრებითო; ასევე წუხს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევიც, რომელიც ავადმყოფობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა.

საპატიო სტუმარი შიმონ პერესი

იმავე საღამოზე წაიკითხეს თბილისის მერის ვანო ზოდელავას წერილიც, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ქართველ ოლიმპიელთა სახელი ეწოდებაო. ამას გარდა, ქალაქში გამოინახება ადგილი, სადაც ჩვენ ოლიმპიურ ჩემპიონთა სკულპტურული კომპოზიცია აღიმართებაო.

აქვე ეკრანზე აჩვენეს მთამსვლელებთან ერთად ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების ვახტანგ ბლაგიძისა და შოთა ხაბარელის მიერ დალაშქრული მწვერვალი კავკასიონზე, რომელსაც „საქართველოს ოლიმპიელი" ეწოდა.

როგორც ამგვარ საზეიმო შეკრებას შეშვენის, იყო სხვადასხვა მუსიკალური ნომრები და დაჯილდოების ცერემონიალიც. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ოლიმპიურ თამაშებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისას გამოვლენილი მამაცობისა და თავდადებისთვის, ოლიმპიზმის იდეების პოპულარიზაციასა და ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის — ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დააჯილდოვა ოლიმპიური ჩემპიონები: ალექსანდრე ანპილოგოვი, ვლადიმერ აფციაური, ვახტანგ ბლაგიძე, დავით გობეჯიშვილი, ვლადიმერ გოგოლაძე, ვაჟა კაჭარავა, გელა კეტაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე ზურაბ საკანდელიძე, ნინო სალუქვაძე, მიხეილ ქორქია, შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, რომან რურუა; იმავე ორდენით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდნენ: ნუგზარ ასათიანი, გივი კარტოზია, ვიქტორ კრატასიუკი, ავთანდილ ქორიძე, მირიან ცალქალამანიძე.

ამას გარდა, „საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის დაფუძნებასა და განმტკიცებაში, ოლიმპიურ თამაშებში და სხვა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მაღალი წარმატებების მიღწევისთვის საქართველოს ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვდნენ: ვახტანგ ბლაგიძე, დავით გობეჯიშვილი, ვაჟა კაჭარავა, გელა კეტაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, რომან რურუა, ზურაბ საკანდელიძე, ნინო სალუქვაძე, ვიქტორ სანეევი, მიხეილ ქორქია, შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, დავით ხახალეიშვილი.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლერი ხაბელოვმა იმავე ორდენით დააჯილდოვა მარიო პესკანტე...

საქართველოს ეოკ-ის ორდენით შეფასდა ბადრი პატარკაციშვილის მიერ საქართველოს ოლიმპიური მოძრაობისადმი გაწეული ქველმოქმედება და საქმიანობა, რაც იქვე გააცნეს შეკრებილ საზოგადოებას.

უჯილდოოდ არც შიმონ პერესი დატოვეს, რომელსაც ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა სეოკ-ის მედალი გადასცა.

— მედლებით ისტორიისთვის რომ ჯილდოვდებოდნენ, ოლიმპიურ ოქროს მთელ საქართველოს გადავცემდი იმ გზისთვის, რომელიც მან თავისი არსებობის განმავლობაში განვლო — თქვა შიმონ პერესმა....

ავთანდილ ბუცხრიკიძე

ამბორი

REUTERS კვებეკიდან

ეს კაცი კანადელი ვალტერ სკოტია, ხოლო გოგო, რომელსაც ის ეამბორება, მისი გოგოცუნა ბეკი გახლავთ. ბეკიმ 2002 წლის სოლტლეიკურ ზამთრის ოლიმპიადაზე 5-კილომეტრიანი სათხილამურო გადარბენა მესამემ დაასრულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეორე ადგილზე გასულ ლარისა ლაზუტინას შარდში აკრძალული ჩაკიდული აღმოუჩინეს, ვერცხლისმედალოსნად სწორედ ის გამოცხადდა. მედალი მას ოფიციალურად მხოლოდ ახლა დღეს გადასცეს და ეს მამაშვილური ამბორიც სწორედ ამის გამო დაფიქსირდა.

REUTERS ტაუნსვილიდან

მოედნის მიღმა

ავსტრალიაში რაგბის მსოფლიოს თასი მიმდინარეობს და თამაშიდან თამაშამდე რაგბისტები მორაგბეები დასვენებასაც ახერხებენ. ფრანგთა კაპიტანი — მაგალითად — ორი ამაღელვებელ მოცეკვავე გოგოსთან ხალისობს, არგენტინელებს — მაურისიო რეგიარდს, ვისნალთ კესადასა, პაბლო ლუკას ოსტილიასა და ხოსე მარია პიოსეკს კი მაშინ გადაუღეს, როცა ისინი ერთ-ერთ სიდნეურ სახინკლეში ილეშებოდნენ.

REUTERS სიდნეიდან


REUTERS ნიუ იორკიდან

ანა და კაცობა

ნიუ იორკში წლის საუკეთესო კაცები გამოავლინეს. ამ ამბავს ბევრი ნახევრადგახდილი ქალი დაესწრო. მათ შორის იყო ათას კორტზე გადამხტარი ანა კურნიკოვაც, რომელიც ბოლოდროინდელმა უთამაშებლობამ ისე მოამსუყა, ვინძლო, ვერც იცნოთ, თუმცა კაცების შესახებ მის აზრს იქ მაინც პატივისცემით ეპყრობიან. მან ხომ ეგ საქმე უფრო კარგად იცის, ვიდრე ჩოგნის ქნევა... ესენი კი განთქმული ბეისბოლისტი სამი სოსა და მისი სახეფითრი მეუღლე სონია გახლავან.

REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ანასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ხოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარგანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge